საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 40 (1056) | ხუთშაბათი, 13 აპრილი, 1995 წელი | ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 აპრილი
დედა ენის დღეა

14 აპრილს აღინიშნება ქართული ენის დღე. ამასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა დაამტკიცა განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა. კრწანისის რაიონის გამგეობას დაევალა წესრიგში მოიყვანოს ხანაპიროზე მდებარე დედა ენის ძეგლის მიმდებარე ტერიტორია. თბილისის რაიონულ გამგეობებს დაევალათ მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში გამართონ დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, წესრიგში მოიყვანონ შესაბამისი რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა ძეგლები. მერიის, განათლებისა და კულტურის სამმართველოებმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საბავშვო ბაღებში, საგამოფენო დარბაზებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში უნდა უზრუნველყონ ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გამართვა, ამ დღისადმი მიძღვნილი სახეიმო მიტინგების მოწყობა დედა ენის, შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და სხვა ქართველი მწერლების ძეგლებთან.

„ყველა ქართველის ვალია თავის მდიდარს, პოლივალენტოვან დედაენას პატივი სცეს, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ყურადღება არ მოაკლოს და არ დაივიწყოს ის ძველი ჭეშმარიტება, რომ ენა არის ხალხის მეობის ძირითადი ნიშანი".

არნოლდ ჩიქობავა.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ნიდერლანდების ელჩი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ნიდერლანდების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციასა და საქართველოში ბარონი გოდერტ დე ვოს ვან სტეინვიკი.

ელჩმა სახელმწიფოს მეთაურს გულთბილი მადლობა გადაუხადა მიღებისათვის და განაცხადა, რომ მას კეთილმოსურნე დამოკიდებულება აქვს საქართველოსადმი, ამდენად ამ ქვეყანასთან ყოველი შეხვედრა მას სიამოვნებას ანიჭებს. შემდეგ მან ისაუბრა საქართველოში მისი ვიზიტის მიზნების შესახებ, კერძოდ, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებისა და განმტკიცების საკითხებზე. სწორედ ამასთან დაკავშირებით ბატონი სტეინვიკი შეხვდა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ოთარ ფაცაციას. მათ დასახეს მცირე ზომის ერთობლივი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შექმნის გეგმა. შეხვედრაზე სტუმარმა სახელმწიფოს მეთაურს აცნობა, რომ ნიდერლანდების მთავრობა განიხილავს პროგრამას საქართველოსათვის ჰუმანური დახმარების სახით ხორბლის მოწოდების თაობაზე.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა ელჩს იმ დახმარებისათვის, რომელიც ნიდერლანდებმა გაუწია საქართველოს. მან ისაუბრა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებაზე და აღნიშნა, რომ ქვეყანაში სიტუაცია დღეისათვის შედარებით სტაბილურია, მთავრდება მუშაობა კონსტიტუციაზე, მიმდინარეობს მზადება არჩევნებისათვის, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება აფხაზეთის საკითხი. რაც შეეხება ეკონომიკურ პროცესებს, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ რესპუბლიკაში შეჩერდა კუპონის ინფლაცია, აშკარაა ეკონომიკის გამოცოცხლების პირველი ნიშნები. ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან, საერთაშორისო სტრუქტურებთან, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან.

შეხვედრის დასასრულს სახელმწიფოს მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის კიდევ უფრო გაღრმავდება და განვითარდება.

საუბარი რუსეთის ელჩთან

რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა მიიღო რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი.

ბატონმა თ. ნადარეიშვილმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სინანული გამოხატა 9 აპრილს რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობასთან მომხდარი აფეთქების გამო. ეს ფაქტი მეტყველებს, რომ ზოგიერთებს არ სურთ საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა და აფხაზეთის პრობლემის მოგვარება. ბატონმა თ. ნადარეიშვილმა სტუმარს გააცნო ქ. მოსკოვში ვიზიტის შედეგები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების დაჩქარებაში.

აღინიშნა, რომ სულ ახლახან პარაფირებულ დოკუმენტს სამხედრო ბაზების გადაცემის თაობაზე, რომლებიც, უწინარესად, დაექვემდებარება ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდალს თევდორე რეუტსა და საქართველოს მთავარსარდალს, სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს — აქვს პრინციპული მნიშვნელობა, ვინაიდან აღნიშნული ბაზების ნუსხაში შედის გუდაუთაში დისლოცირებული სამხედრო ბაზა და თუ საუბარია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, გუდაუთის სამხედრო ბაზის გამორიცხვა ყოვლად დაუშვებელია.

საუბრის დასასრულს ბატონმა ვლადიმერ ზემსკიმ აღუთქვა პრემიერ-მინისტრის მოადგილეს რუსეთის ფედერაციის საელჩოს მხრიდან ყოველი დახმარება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

11 აპრილის საინფორმაციო პროგრამა „მაცნეში" გამოსვლის ტექსტი

საქართველოს პარლამენტის წევრებს, ამომრჩევლებს!

საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადა ამა წლის 4 ნოემბერს მთავრდება. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, 4 ივლისამდე უნდა დაინიშნოს არჩევნები. სამწუხაროდ, ჯერ პარლამენტს არ დაუწყია საარჩევნო კანონისა და სათანადო საბაზო კონსტიტუციური კანონების განხილვა. საზოგადოებაში გამოითქვა გარკვეული ეჭვი, — პარლამენტში ბევრს გაიძახიან არჩევნები დროულად უნდა დაინიშნოსო, მაგრამ რეალურად, როგორც ჩანს, არ ჩქარობენ, თავიანთი ხელისუფლების ვადის გაგრძელების იმედი აქვთ. ეს ყოვლად დაუშვებელია, უბრალოდ გამორიცხულია. როგორც უნდა იყოს, არჩევნები კანონის ვადებში უნდა ჩატარდეს, დრო კანონის მისაღებად კატასტროფულად მცირეა. თუ საარჩევნო კანონი დროულად ვერ მივიღეთ, პარლამენტი წყალში ჩაყრის ყოველივეს, რაც რამ სასიკეთო გაუკეთებია. პარლამენტის უპირველესი მოვალეობაა შეუნარჩუნოს ჩვენს ქვეყანას პოლიტიკური სტაბილურობა და შექმნას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მემკვიდრეობითობის კანონზე დაფუძნებული ტრადიცია, სწორედ ამიტომ, მივაპყრობ რა თქვენს ყურადღებას, დაბეჯითებით ვთხოვ პარლამენტის წევრებს გვერდზე გადავდოთ ყველა საკითხი მანამ, ვიდრე არ მივიღებთ საარჩევნო კანონსა და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ კანონებს. პარლამენტი ყურადღებას დაუთმობს საარჩევნო კანონის ნებისმიერ პროექტს, მაგრამ წინასწარი თხოვნა ასეთი იქნება: კანონი უნდა იყოს მარტივი და ნათელი, ამომრჩეველმა ცხადად უნდა იცოდეს — ვის ირჩევს, რისთვის ირჩევს, რა წესით ირჩევს. ბუნდოვანება ჩვენი პოლიტიკური ცნობიერების დამღუპველი ტენდენციაა. ამასთან, ვთხოვ ჩვენს ამომრჩევლებს, ფართო საზოგადოებრიობას აქტიური მონაწილეობა მიიღონ კანონპროექტების განხილვაში.

ვახტანგ გოგუაძე.

ინტერვიუ

გამორჩეული მემატიანე

რამდენმა სასიქადულო ადამიანმა დატოვა წარუშლელი კვალი ქართველი ერის ცხოვრებაში როგორც უკვდავებასთან წილნაყარმა საუკეთესო პიროვნებამ, დიდმა მეცნიერმა, უმაღლესი სკოლის მოპირნახულემ. ასეთთა შორის არის კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე დიდი ადამიანური ტვირთი იტვირთა და, მშობელი ქვეყნის საკეთილდღეოდ დამაშვრალი, დღესაც ცოცხალივით მოიხსენიება. ასეთი გახლავთ აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი.

ამ დღეებში გაიმართა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი საიუბილეო სამეცნიერო სესია, მიძღვნილი გამოჩენილი მეცნიერი ისტორიკოსის, აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი.

სხდომები ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზებში.

სესიაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. დიდი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ ქართული მეცნიერების წარმომადგენლები.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტი ბელა დურგლიშვილი შეხვდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს და სთხოვა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის მოკლედ, მაგრამ არსებითად მოეთხრო აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

— ნიკოლოზ ბერძენიშვილი გამორჩეულად საინტერესო ისტორიკოსია. ის ფაქტობრივად არის სიმონ ჯანაშიასთან ერთად დიდი ივანე ჯავახიშვილის უშუალო მემკვიდრე. ბატონი ნიკო ბერძენიშვილი ფართო მასშტაბის ისტორიკოსი იყო: ამომწურავად ფლობდა საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ პირველწყაროებს, რომელთა ღრმა ანალიზის საფუძველზე ისტორიული პროცესის ფართო ანალიზს იძლეოდა. ნიკო ბერძენიშვილმა მეტად საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. წარმოშობით ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლესუბნიდან იყო. ჯერ სწავლობდა ბათუმის გიმნაზიაში, რომელიც 1917 წელს დაასრულა. 1920 წელს კი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, რომელიც 1926 წელს დაამთავრა. ივანე ჯავახიშვილის მოწონება დაიმსახურა ბეჯითმა სტუდენტმა და მისივე შუამდგომლობით დატოვეს საქართველოს ისტორიის კათედრაზე — საპროფესოროდ მოსამზადებლად. მეტად საინტერესოა, რომ მას 1938 წელს დისერტაციის დაუცველად მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. 1939 წლიდან ის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორად აირჩიეს.

1939 წლიდან მოყოლებული, ნიკო ბერძენიშვილი მუშაობდა ისტორიის განყოფილების გამგედ ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, შემდეგ კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში. 1948-65 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორი, 1951-57 წლებში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. ეწეოდა ფართო მასშტაბის პედაგოგიურ მოღვაწეობას ქუთაისის პედაგოგიურ, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, 1946-56 წლებში იყო თსუ-ს საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე. ნ. ბერძენიშვილის თაოსნობით მომზადდა ისტორიული კადრები.

დღეს მისი მოწაფეები სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით ცენტრებში მოღვაწეობენ. მისი თანაავტორობით დაიწერა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი პირველი სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც 1943 წელს დაისტამბა. 1958 წელს მისივე რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოიცა ნაშრომი „საქართველოს ისტორია", რომელიც დღემდე დამხმარე სახელმძღვანელოდ ითვლება.

ნ. ბერძენიშვილმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში. განსაკუთრებული ღვაწლი აქვს XIII-XVIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკისა და ეკონომიკის ისტორიის შესწავლის საქმეში. წამოაყენა დებულებები ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემების შესახებ, გააშუქა შუა საუკუნეებში მწარმოებელი კლასის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული კონკრეტული მოვლენები, დაადგინა საქართველოში ბატონ-ყმობის დამკვიდრების დრო. ახლებურად ახსნა სათავადოების ჩამოყალიბების საკითხი, კერძოდ, დაასაბუთა, რომ სათავადოების წარმოშობა საქართველოს ისტორიის გარკვეულ საფეხურზე შექმნილი „ჩიხის" შედეგი იყო და არა პროგრესისა, როგორც მანამდე ფიქრობდნენ. ასევე ახლებურად და საინტერესოდ გააშუქა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორია და სხვა მრავალი პრობლემის საკვანძო საკითხები.

ნ. ბერძენიშვილს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, შემდგომ განვითარებაში. მისმა შრომებმა შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ, მის მიერ ისტორიული დოკუმენტების მრავალრიცხოვანმა პუბლიკაციებმა განსაზღვრეს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის კვლევის მიმართულება ჩვენი საუკუნის 50-იან-60-იან წლებში. ნ. ბერძენიშვილი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწე გახლდათ, მისი უშუალო თაოსნობით შეიქმნა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება, რომლის პირველი თავმჯდომარეც თავად იყო. 1947 წელს ივანე ჯავახიშვილთან და სიმონ ჯანაშიასთან ერთად საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნისათვის მას სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ცალკე მინდა აღვნიშნო ნ. ბერძენიშვილის ღვაწლი გრიგოლ ბაკურიანისძის, ანთიმოზ ივერიელისა და ბესიკის წარმოჩენა-აღმოჩენის შესახებ. იგი 1949 წელს რუმინეთსა და ბულგარეთში იყო მივლინებული აკადემიკოს აკაკი შანიძესა და პროფესორ ოთარ გიგინეიშვილთან ერთად.

აქ მან მოახერხა მოეძია მასალები ანთიმოზ ივერიელის შესახებ და შეძლო ის, რომ განსაკუთრებული მცდელობით მიეკვლია ბესიკ გაბაშვილის საფლავისათვის. რაც შეეხება ბულგარეთში მოგზაურობას, მათ გულდასმით დაათვალიერეს პეტრიწონის (ამჟამად ბაჩკოვოს) ქართული მონასტერი, რომელიც თავის დროზე გრიგოლ ბაკურიანისძემ დააარსა, სოფიის ბიბლიოთეკაში ა. შანიძემ და ნ. ბერძენიშვილმა ნახეს ბერძენი მოღვაწის მიერ ქართული დედნიდან გადაწერილ-გადახატული ტიპიკონი, სადაც ნათქვამი იყო, რომ „წესი ესე განგებისა დაწერილია მხოლოდ ქართულად და ბერძნულად". მეცნიერებმა ძვირფასი ხელნაწერის ასლი სამშობლოში ჩამოიტანეს და 1971 წელს აკაკი შანიძემ მის საფუძველზე გამოაქვეყნა კიდეც ეს ტექსტი სათანადო გამოკვლევებით.

რუმინეთ-ბულგარეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებები ნიკო ბერძენიშვილმა გადმოგვცა 1949 წ. გამოცემულ წიგნში, რომელსაც „ძლევაი" უწოდა. „ძლევაი" შემთხვევით არ დაურქმევია — პეტრიწონის გუმბათზე არსებულ მოოქროვილ ვერცხლის ჯვარზე იყო ქართული ასომთავრული წარწერა „ძლევაი". ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით ეს გრიგოლ ბაკურიანის ძის სამხედართმთავრო ჯვარი უნდა ყოფილიყო.

ერთი დეტალიც მინდა აღვნიშნო: ნ. ბერძენიშვილს ჰქონდა წერისა და მეტყველების მეტად გამორჩეული ორიგინალური სტილი, რითაც იგი გაიძულებდათ, მისი გამოკვლევები ურთულეს პრობლემებზე სიამოვნებით წაგეკითხათ. 100 წელი შესრულდა ნ. ბერძენიშვილის დაბადებიდან. სრულიად მართებულია, რომ დღეს ქართველი საზოგადოება ფართოდ აღნიშნავს ამ გამოჩენილი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის საიუბილეო თარიღს. მთაწმინდის პანთეონში განისვენებს ნიკო ბერძენიშვილი დიდ ქართველ მამულიშვილთა გვერდით. ასევეა ჩარიცხული იგი ქართველ მამულიშვილთა მაღალი შარავანდედით მოსილ პანთეონში.

გზად მომავლისაკენ!

ამ წერილის ავტორი ნოდარ ჭითანავა არის საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, შეტანილია ბრიტანულ მსოფლიოს გამოჩენილ პიროვნებათა ენციკლოპედიურ ცნობარში „ვინ ვინ არის?".

გვჭირდება საბაზრო ეკონომიკის ეროვნული მოდელი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სასტარტო ეტაპზე დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა განვითარების ობიექტური პროცესი (საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება) ნეგატიურ, დამანგრეველ ძალად აქციეს. საბაზრო ეკონომიკა მახინჯი დაიბადა. მის დამთრგუნველ ძალას ყველა ვგრძნობთ. ამჟამად ეროვნული მეურნეობის თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ფუნქციონირების საგანგებო და ისტორიული ამოცანა დგას. იგი მხოლოდ პოლიტიკური ან სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისა არ არის, უპირველესად ეროვნული და ზნეობრივი პრინციპების განუხრელად დაცვის აუცილებლობით არის ნაკარნახევი.

საბაზრო ეკონომიკის ეროვნული მოდელის სწორად განსაზღვრა ურთულესი საქმეა. მსოფლიოში ბაზრის რამდენიმე კლასიკური მოდელი არსებობს. ძირითადად გამოყოფენ ორ გამსხვილებულ მოდელ-ტიპს — ლიბერალურსა და სოციალურად ორიენტირებულს. ტრადიციულად ლიბერალური ეკონომიკა ეყრდნობა კერძო საკუთრების გაბატონებულ მდგომარეობას, სოციალურად ორიენტირებული — საკუთრების სხვადასხვა ფორმის ორგანულ შეთანაწყობას, სახელმწიფო საკუთრების წონად მდგომარეობას, ეკონომიკური და სოციალური პროცესების სახელმწიფო რეგულირებას.

საბაზრო ეკონომიკის მზა მატრიცების, სტერეოტიპების პირდაპირი გადმოღება უეფექტო, მიზანშეუწონელია.

მთავარი მოთხოვნა, რომელიც უნდა დავიცვათ ეროვნული ეკონომიკური მოდელის ფორმირებისას, ის არის, რომ საბაზრო ეკონომიკის ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს ქართული რაკურსით შევხედოთ და გავიაზროთ. ეკონომიკის მოდელი ეროვნული, ტრადიციული მეურნეობისა და მსოფლიო გამოცდილების დიალექტიკურ სინთეზს უნდა წარმოადგენდეს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ არც მხოლოდ ეროვნული გამოცდილების ისტორიულ ნაჭუჭში ჩაკეტვა შეიძლება და არც მეურნეობის ეროვნული ნიადაგისაგან მოწყვეტა.

დღეს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას ხუთი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს: **პირველი.** ეკონომიკის დეფორმირებული სახელმწიფო სექტორი და ფორმირების სტადიაში მყოფი სახელმწიფო სტრუქტურები. **მეორე.** ფარული, ე. წ. „ჩრდილოვანი" ეკონომიკიდან ევოლუციურად წამოსული, გზადაგზა ყაჩაღობით, სახელმწიფო და მოქალაქეთა ქონების ძარცვით შექმნილი კაპიტალის ბაზაზე ფორმირების პროცესში მყოფი კერძო სექტორი. **მესამე.** ეროვნული ნომენკლატურა, რომელიც ყოველნაირად ცდილობს მის სასარგებლოდ (და არა ქვეყნისა) არეგულიროს სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, საკუთარ გარემოცვას გაუკვალოს გზა უცხოეთის ინვესტიციებისა და შეღავათიანი კრედიტების მიღება-დაბანდებისათვის. ნიშანდობლივია, რომ იგი ძველი, თითქოსდა დამსხვრეული სტრუქტურებისა და ეგრეთწოდებული საბაზრო ურთიერთობების „ნორჩ" ორგანიზაციულ წარმონაქმნთა კონგლომერატს წარმოადგენს და სპეციალურ მეცნიერულ გამოკვლევას საჭიროებს. **მეოთხე.** მაფიოზური სტრუქტურები, რომლებიც კერძო სექტორთან, ნაწილობრივ აღმასრულებელი ხელისუფლების განშტოებებთან ალიანსში, ფაქტობრივად ფლობენ ეკონომიკურ ძალაუფლებას. მათ აქვთ დიდძალი სახსრები, ძირითადი ფონდები, მათი დაცვის სათანადო საშუალებანიც. **მეხუთე.** ქვეყნის მოსახლეობის გაღატაკებული ნაწილი. იგი აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს, მორალურად დაბეჩავებულია, შიმშილობს. მან წლების მანძილზე დაგროვილი დანაზოგებიც დაკარგა „კუპონიზაციის", ძალიან რბილად რომ ვთქვათ, არასწორი პოლიტიკის გამო. შრომისუნარიან კვალიფიციურ ადამიანებს სამუშაო არ აქვთ. უნიკალური სიტუაცია ჩამოყალიბდა: ხელფასმა, პენსიამ, სტიპენდიამ და სხვებმა ფუნქცია დაკარგეს. მოქალაქეთა ერთი ნაწილი სპეკულაციით, ნაძარცვის რეალიზაციით ცხოვრობს, ნარკობიზნესს შეექცა. მეცნიერება, განათლების სფერო დაკნინების გზაზეა.

ჩვენი აზრით პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორთა ასეთი თანაფარდობა კომპლექსურ შესწავლა-ანალიზს საჭიროებს. აუცილებელია განვითარების შესაძლო ვარიანტების გათვლა, რათა საზოგადოებრივი გარდაქმნების პროცესები მომავალში მაინც სტიქიურად არ წარიმართოს. საგაზეთო მასალაში ერთობ ძნელია განვითარების ყველა სცენარის განხილვა. ამიტომ მათი მხოლოდ ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით.

პირველი ვარიანტი. როცა პირველი და მეხუთე გაერთიანდებიან (ამას ხელს შეუწყობს სოციალისტური რეჟიმის მიმართ ნოსტალგია, „დემოკრატიული გარდაქმნების" მიმართ უნდობლობა, უზნეობის თანამედროვე მაგალითები და სხვ.). ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩამოყალიბდა ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც რეალურად შეაფასებს ვითარებას, გაითვალისწინებს მოსახლეობის ფსიქიკას და ქვეყანაში დაშვებული შეცდომების სწორი ანალიზით პრაქტიკულად დასვამს სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებს, შექმნის ისეთ ორგანიზაციულ მექანიზმს, რომელიც მათ რეალიზაციას უზრუნველყოფს. ამასთან არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ამ ძალამ შეიძლება რევანშიზმის „თვლემარე" მუხტი აამოქმედოს. ასეთი სცენარით მოქმედება დაუპირისპირდება ეკონომიკაში აუცილებელი წყობის — კერძო სექტორის განვითარებას. ეს სასურველ შედეგს ქვეყანას არ მოუტანს.

მეორე ვარიანტი. მესამე (ნომენკლატურა) და მეოთხე (მაფიოზური სტრუქტურები) გაერთიანდებიან არა მარტო ეკონომიკური ინტერესების „ქოლგის" ქვეშ (ეს ნაწილობრივ დღესაც ასეა), არამედ პოლიტიკურადაც. ეს გამოიწვევს ორი ძალის — ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების შერწყმას და ერთიან ძლიერ მექანიზმად ჩამოყალიბებას. თუ ეს მოხდა, იგი დაუპირისპირდება პირველსა და მეხუთეს, დაიმორჩილებს მეორეს, გაიხდის მას საკუთარი არსებობის ეკონომიკურ „წყაროდ". მას დააკისრებს აგრეთვე მთელი ეროვნული მეურნეობის განვითარებაზე პასუხისმგებლობას. ბუნებრივია (ობიექტური მიზეზების გამო) კერძო სექტორი თავისი შესაძლებლობებით ამ ფუნქციას დღეს ვერ შეასრულებს. ასეთი სცენარით განვითარების მოსალოდნელი შედეგები ქვეყნის ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის მიუღებელია.

მესამე ვარიანტი. ყველა დასახელებული ფაქტორის ცალ-ცალკე, იზოლირებულად, „თავისთვის" განვითარება კომპლექსურობის თანმიმდევრობის დაუცველად პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ქაოსს გააღრმავებს. ამიტომ განვითარების ასეთი მიმართულება არასწორად უნდა მივიჩნიოთ.

მეოთხე ვარიანტი. არ უნდა გამოირიცხოს ისეთი პერსპექტივაც, როცა მეხუთე ფაქტორის პროვოცირებით შესაძლებელი გახდება სოციალური აფეთქების ორგანიზება. ეს სასიკვდილო ლახვარი იქნება ქვეყნისათვის და დიდი ხნით გადაიდება სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესის დაწყება.

მეხუთე ვარიანტი. თეორიულად შეიძლება მეორე და მეოთხე ფაქტორების დაწყვილება. თუმცა ისინი ერთმანეთს იმდენად არ ენდობიან, რომ მათი შერწყმის ორგანიზაციულ-ფსიქოლოგიური საფუძველი მყარი გახდეს. ისინი ერთმანეთში გადასვლით მოჩვენებით წონასწორობას შექმნიან. საბოლოოდ, კი სხვადასხვა პოზიციაზე დადგებიან, რადგან პირველი არ მოისურვებს სხვას ხარკი უხადოს, მეორე კი შეეცდება ეს გააკეთოს.

სად ვეძებოთ გამოსავალი?

ჩვენი აზრით პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ჩამოყალიბებულ თანაფარდობაში უნდა მოინახოს ის ცენტრალური ფაქტორი-რგოლი, რომელიც ეფექტიანად ამოქმედებისას საზოგადოებრივი განვითარების წონასწორობას დაიცავს, რთული პროცესების რეგულირებას შეძლებს.

ასეთია ნომენკლატურის, ფართო გაგებით საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების, ეროვნული ინტერესების დაცვის პრინციპების მიხედვით ფორმირება, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფა და სათანადო სამართლებრივი ბაზის, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური გარემოს ჩამოყალიბება. თუ როგორ უნდა მოხდეს ეს, ცალკე საუბრის თემაა. აქვე ვიტყვით, რომ თუ კომპეტენტური ხელისუფლება არ ჩამოყალიბდა, ხალხმა მწარმოებლური შრომა არ დაიწყო და ზნეობის გარემოს არ დაუბრუნდა, არც ერთი რეფორმა არ განხორციელდება, საზოგადოებრივი განვითარება საქართველოში არასწორი გზით წავა.

განვიხილოთ საბაზრო ეკონომიკის ეროვნული მოდელის ფორმირების ძირითადი პრინციპები.

პირველი. საბაზრო ეკონომიკის ეროვნული მოდელის თეორიული ბაზა და სტრატეგიული მიმართულება. ჩვენი აზრით იგი უნდა დაეყრდნოს ცხოვრების ხარისხის ამაღლების ფილოსოფიას, ადამიანის მრავალმხრივი ინტერესების რეალიზაციას. თუ ამას პრაქტიკულ ამოცანამდე დავიყვანთ, ეს არის ადამიანის ნორმალური კვლავწარმოების საკმარისი დონის უზრუნველყოფა, ინტერესების რეალიზაციის სამართლებრივი, მატერიალური, სულიერი, ფსიქოლოგიური გარემოს შექმნა, უშუალოდ წარმოების, განაწილების, გაცვლის, მოხმარების ახალი სოციალური ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საკუთრებით ურთიერთობებში მსოფლიოში მომხდარმა რადიკალურმა ცვლილებებმა ისტორიული განვითარების პროცესში პრინციპული დაპირისპირება შეარბილა, რომ ერთი ქვეყნის შიგნით საკუთრების ფორმების მრავალგვარობა მსოფლიოში რეალობად იქცა. ამასთან ტექნოლოგიურმა ძვრებმა, შრომის დანაწილების პროცესებმა სოციალური სტრუქტურის რადიკალური განახლება გამოიწვია. სოციალურ ჯგუფებს (ფენებს) შორის ახალი ტიპის ურთიერთობანი აღმოცენდა. მის ეპიცენტრში კი ადამიანი, არა მარტო როგორც ობიექტი, არამედ უპირველესად სუბიექტი, დადგა.

ასეთია თანამედროვე ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის განვითარების ლოგიკა. რა თქმა

(დასასრული მე-2 გვ.).

მერვე სვეტი

ვინ ეხმარებოდა სეპარატისტებს?

მოსკოვში გამომავალმა ყოველთვიურმა გაზეთმა „აბხაზიამ" (იგი გამოდის 30-ათასიანი ტირაჟით) დაბეჭდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ ეხმარებოდა აფხაზ სეპარატისტებს 1992-1993 წლებში აფხაზეთში მიმდინარე ომის დროს. განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევდა ყარაჩაი-ჩერქეზეთში მოქმედი სააქციო საზოგადოება „აფხნის" ხელმძღვანელი ოლეგ ეტლუხოვი. მისი ინიციატივით აფხაზეთში გაიგზავნა 109 სატვირთო მანქანა ე. წ. „ჰუმანური ტვირთით" — კვების პროდუქტები, მედიკამენტები და სხვა საქონელი.

109 მანქანაში დატვირთული ჰუმანური ტვირთი — ერთ სარკინიგზო შემადგენლობას შეადგენს.

რასაკვირველია, აფხაზური გაზეთი არაფერს არ წერს იმაზე, თუ რამდენი იარაღი, სამხედრო ფორმა და ბოევიკი გამოგზავნეს აფხაზეთში ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებიდან.

არძინბა ისკანდერს აკრიტიკებს

ბოლო დროს აფხაზურ პრესაში ხშირად აკრიტიკებენ მოსკოვში მცხოვრებ მწერალს ფაზილ ისკანდერს, რომელიც საბჭოთა და აფხაზური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება. ამ კრიტიკის კამპანიას შეუერთდა თავად ვლადისლავ არძინბაც. მოსკოვში გამომავალ ყოველთვიურ გაზეთ „აბხაზიაში" (რედაქტორი — ტარიელ არშბა) დაბეჭდილია ჟურნალისტ იგორ ლენსკის სტატია, რომელშიც მოყვანილია ვ. არძინბას სიტყვები ფაზილ ისკანდერის შესახებ. არძინბას შემდეგი რამ უთქვამს: „ჩვენთან აფხაზეთში ფაზილ ისკანდერს ყოველ სახლში იცნობენ. თავის ნაწარმოებებში მან დაგვიხატა აფხაზეთის შესანიშნავი სურათი. ისკანდერი თვალსაჩინო მწერალია. სამწუხაროდ, კაცი კი ვერ არის თვალსაჩინო. თუმცა მას არაერთხელ დაუცავს სხვადასხვა ხალხი, მაგრამ მთელი ომის მანძილზე ერთხელაც არ აუმაღლებია ხმა მშობლიური აფხაზეთის დასაცავად".

არძინბასა და, საერთოდ, სეპარატისტების ასეთი განწყობილება ისკანდერის მიმართ გასაკვირი როდია, ჯერ კიდევ 1989 წელს, როცა უკვე აშკარად იგრძნობოდა აფხაზური სეპარატიზმი, ფაზილ ისკანდერმა საჯაროდ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება სეპარატიზმისადმი, იგი აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის წინააღმდეგი იყო და მიაჩნდა, რომ აფხაზეთს ავტონომიის ფარგლებში უნდა მიეღწია მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის.

უცხოურ ვალუტათა კურსი უცვლელი დარჩა

10 აპრილს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გამართულ მორიგ საჯარო ვაჭრობაზე უცხოურ ვალუტათა კურსები საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონის მიმართ უცვლელი დარჩა. ისევე როგორც გასულ პარასკევს გამართულ ვაჭრობაზე ერთი ამერიკული დოლარის კურსი შეადგენდა 1.300 ათას კუპონს, ხოლო რუსული რუბლისა — 252 კუპონს.

ყურადღება!

როგორც „საქართველოს რესპუბლიკის" 11 აპრილის ნომერში ვაუწყებდით, 14 აპრილს, დღის 11 საათზე მოწვეულია ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირი გაიმართება საქართველოს პარლამენტის (ყოფილი „იმელის") სხდომათა დარბაზში (რუსთაველის გამზ. № 29).

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
„საქართველოს რესპუბლიკის ხაზინის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

1. **მოწონებულ** იქნეს ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება, საქართველოს რესპუბლიკის ხაზინის შექმნის შესახებ. ასეთი ინსტიტუტის შექმნა კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება რეფორმების დაჩქარების და საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზაზე.

2. დამტკიცდეს დებულება „საქართველოს რესპუბლიკის ხაზინის შესახებ“.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 8 აპრილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კოლეგიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

1. **დამტკიცდეს** საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კოლეგიის პერსონალური შემადგენლობა:

გენერალ-ლეიტენანტი **ვარდიკო ნადიბაიძე** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი, სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარე.

სამხედრო კოლეგიის წევრები:

გენერალ-მაიორი **გურამ ნიკოლაიშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

გენერალ-მაიორი **ნოდარ თათარაშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის უფროსი, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

გენერალ-მაიორი **რაჟდენ ბიწაძე** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ზურგის, მშენებლობისა და ჯარების განთავსების დარგში;

გენერალ-მაიორი **ჯემალ ჭუმბურიძე** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსი;

გენერალ-ლეიტენანტი — **ვანო გურგენიძე** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე შეიარაღების დარგში, შეიარაღების მთავარი სამმართველოს უფროსი;

გენერალ-მაიორი **თამაზ დუმბაძე** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე საგანგებო სიტუაციების საკითხებში;

გენერალ-მაიორი **გუჯარ ყურაშვილი** — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, მთავარი სამხედრო ინსპექტორი;

გენერალ-მაიორი — **ვალერი ჩხეიძე** — საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სასაზღვრო ჯარების სარდალი;

პოლკოვნიკი **გიორგი თორაძე** — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალი.

2. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კოლეგიის თანამდებობის მიხედვით შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 24 ივნისის № 8-ს განკარგულებაში.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 7 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის
კანონი
საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს**:

1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. 223-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ:

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის ხელმძღვანელს და მის მოადგილეებს — შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე;

აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქების თბილისის, სოხუმის, ბათუმის სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს — შრომის ანაზღაურების 1,5 მინიმალურ ოდენობამდე;

ქალაქების, რაიონების სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურების, აგრეთვე სახელმწიფო ვეტერინარული ქსელის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს — შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე“.

ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის პირველ პუნქტში სიტყვის „ბაზრებში“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „და ბაზრობებზე“.

ამავე ნაწილის მეორე პუნქტში სიტყვის „რკინიგზის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „საზღვაო“.

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე,

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1995 წლის 8 მარტი.

აღსაყდრება
კვირას ეჩმიაძინში...

კვირას, 9 აპრილს, ეჩმიაძინის საკათედრო ტაძარში გაიმართა სრულიად სომხეთის კათალიკოს-პატრიარქის გარეგინ პირველის ინთრონიზაცია.

ცერემონიალს ესწრებოდნენ ქრისტიანული ეკლესიების მეთაურნი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული საპატიო სტუმრები.

საქართველოს დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები და პარლამენტის წევრები, ხელმძღვანელობდა პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე. მან ახლადკურთხეულ კათალიკოს-პატრიარქს გადასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მილოცვა, რომელიც იმავე დღეს გამოქვეყნდა სომხურ რესპუბლიკურ გაზეთში. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის სახელით მის უწმინდესობას გარეგინ პირველს მიულოცა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა მადლობა გადაუხადა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს დელეგაციის წარგზავნისათვის.

მეორე დღეს საქართველოს დელეგაცია მიიღო სომხეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ბაბკენ არარქციანმა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ორ მეზობელ დამოუკიდებელ ქვეყანას ბევრი საერთო პრობლემა აქვს. ამიტომ, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყნის აღმშენებლობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

საქართველოს პარლამენტის წევრებმა ფერდინანდ ალექსანიანმა და ჟორა ხაჩიანმა მასპინძლებს გააცნეს საქართველოში სომხური დიასპორის ყოფა-ცხოვრების პირობები, აღნიშნეს, რომ თითოეულ მათგანს საკუთარი წვლილი უნდა შეჰქონდეს საქართველოს აღორძინებაში, სომხეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების გაღრმავებაში.

სურათზე: საქართველოს დელეგაცია სომხეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან ერთად ეჩმიაძინში, საზეიმო ცერემონიალის დროს.

გვჭირდება საბაზრო ეკონომიკის ეროვნული მოდელი

(დასასრული)

უნდა, მომავალი ეკონომიკაც — რესურსების გამოყენების ეფექტიანობის — ადამიანის კეთილდღეობის საშუალებად აღიარების სტრატეგიაზე განვითარდება. ეს კარგად გამოჩნდა ამას წინათ კოპენჰაგენში გაეროს მიერ ჩატარებულ შეხვედრაზე, რომელიც სოციალური სფეროს განვითარების ახალი სტრატეგიის პრინციპების დამუშავება-განსაზღვრას მიეძღვნა.

ქვეყნის ეკონომიკური მოდელი (მისი ფორმირების კრიტერიუმები, პრინციპები) არ უნდა განიცდიდეს საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილის, ნებისმიერი ფენის, ჯგუფის, პარტიის, მიმდინარეობის პროგრამული სტერეოტიპების ცალმხრივ გავლენას (დასაშვებია განვითარების ცალკეული ეტაპების თავისებურებათა და ხასიათის გათვალისწინებით სტრატეგიული მიმართულების კორექცია, ტაქტიკის დაზუსტება-დაკონკრეტება).

ჩვენი აზრით ქვეყნის ახალ ეკონომიკურ მოდელს სოციალური სამართლიანობის, ეკონომიკური ჰუმანიზმის პრინციპებისა და ქართული რეალობის სპეციფიკის გათვალისწინებით საზოგადოების ყველა ფენის (ჯგუფის) ინტერესების რეალიზაციის ერთიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური საფუძველი უნდა ჰქონდეს.

ამისათვის ქვეყნის პოლიტიკური ძალების ურთიერთშეთანხმების (კონსენსუსის) საფუძველზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებების (ფუძემდებლური პრინციპების) ერთობლივად განსაზღვრაა საჭირო. ჭირგამოვლილ საქართველოს დღეს ამისათვის ობიექტური წანამძღვრები გააჩნია.

მეორე. მოდელის სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია. მან უპირველესად უნდა გაითვალისწინოს საკუთრების ყველა ფორმის განვითარების ინტერესები (და არა ერთი რომელიმე ფორმის უპირატესობაზე ორიენტაცია), ხელი შეუწყოს მათი „თანაარსებობის“ სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ შესაძლებლობათა გამოყენებას. მხედველობაში გვაქვს ისეთი გარემო, სადაც ეფექტიანად ფუნქციონირებს თავისუფალი მეწარმე, არ იზღუდება პირადი ინტერესები, როგორც ქცევის მთავარი მოტივი, კონკურენცია, მოქმედებს საბაზრო ფასები (ცალკეულ ეტაპებზე საბაზრო და სახელმწიფო მექანიზმებით ხდება მისი რეგულირება).

საკუთრების სხვადასხვა ფორმათა თანაარსებობის გამოცდილება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას აქვს. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გენეზისის გათვალისწინებით სასარგებლო სამსახურს გაგვიწევს იმ გამოცდილების შესწავლა, რომელიც ჰქონდა რუსეთს (საბჭოთა კავშირს), და ისტორიაში დაფიქსირდა „ნეპის“ სახით. მხედველობაში გვაქვს არა ამ მოდელის დღეს პირდაპირი გამოყენება, არამედ მისი ფორმირების პრინციპების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის სწორად გააზრება. ეს იყო უნიკალური სოციალურ-ეკონომიკური მოდელი, რომელიც ადეკვატურად ასახავდა გარდამავალი პერიოდის (შებრუნებით, ვიდრე დღეს დასმული ამოცანის — კაპიტალისტური მეურნეობიდან სოციალიზმზე გადასვლის შესახებ) თავისებურებებს. ეს ისტორიული გამოცდილება უგულებელყვეს თვით რუსეთის რეფორმატორებმა. ისინი დასავლეთის, კერძოდ, „სავალუტო ფონდის“ რეკომენდაციებით შეეცადნენ ახალი ტიპის საბაზრო ეკონომიკაზე გადაეყვანათ ქვეყანა. შედეგი ცნობილია. „ნეპის“ არსებითი ნიშანთვისება ის იყო, რომ მან სუპერცენტრალიზებული (სამხედრო კომუნიზმის პრინციპებზე აგებული) ეკონომიკის დემონტაჟი (და არა ნგრევა) წარმატებით განახორციელა, საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების ერთად, ერთდროულად გამოყენების ხელსაყრელი გარემო შექმნა. შიდა პროდუქტის წარმოებაში (თანამედროვე შეფასებით) საშუალო წლიურმა ზრდამ 13-14 პროცენტი შეადგინა. 4-5 წელიწადში ქვეყანამ შექმნა მაღალეფექტიანი ეკონომიკა.

მესამე. საბაზრო ეკონომიკის ეროვნული მოდელის სოციალური სტრატეგია. მოდელს ძლიერ გამოხატული სოციალური მიმართულება უნდა ჰქონდეს. ეს თანამედროვე და მომავალი ეკონომიკის განვითარების თავისებურებებით აიხსნება. ეროვნული ეკონომიკური ფსიქოლოგია, სოციალური სამართლიანობის, თანასწორობის პრაქტიკით გაჯერებული მენტალიტეტი (ეკონომიკური რეფორმების სრულმა კრახმა ხელი შეუწყო მის უფრო გაძლიერებას) განვითარების ამ მიმართულებაზე უფრო აიღებს ორიენტაციას. ცნობილია, რომ დიდ გარდაქმნებში სასტარტო ფსიქოლოგიას განსაკუთრებული დატვირთვა, მნიშვნელობა აქვს. სოციალური დაცვის აუცილებლობის გარემოდან (სოციალისტური სოციალური გარანტიები) „თავისუფლების“ გარემოში (საბაზრო ურთიერთობანი) „შოკით“ გადასვლა თვით თავისუფლების აუცილებლობის მიმართ მოსახლეობის დიდი ნაწილის ეჭვებს ბადებს. ასეთია დღევანდელი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აზროვნების „სიმაღლე“. ამ უნიკალურ სიტუაციას ანგარიში უნდა გაეწიოს. ორიდან ერთი უნდა აეირჩიოთ, უმრავლესობის ინტერესების დაცვა ანუ უმცირესობამ („შოკური თერაპიის“ მომხრეებმა) არეგულიროს უმრავლესობის ინტერესები (ისე როგორც ამჟამად).

ასეთი ისტორიული გამოცდილებაც არსებობს (მაგალითად, სამხრეთ კორეა, ჩილე და სხვ.). ამ ქვეყნებში თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესებს ძლიერი დასაყრდენი ჰქონდა (სახელმწიფო, არმია, პოლიცია, გარედან ძლიერი ფინანსური მხარდაჭერა და ა. შ.). ასეთი სცენარით განვითარების შესაძლებლობა „შოკურმა თერაპიამ“ საქართველოს დაუკარგა, დღევანდელ სიტუაციაში დასახელებული ფაქტორების რეანიმაციაზე ფიქრიც ავანტიურიზმია. ამიტომ ეს გზა მიუღებელია.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოციალისტური ეკონომიკა „კლასობრივი ბრძოლის“ სოციალურ-პოლიტიკური შედეგი იყო. სამწუხაროდ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაც კლასობრივი ბრძოლის „პრინციპების გამოყენებით წითლებისა და თეთრების დაპირისპირების ყბადაღებული ლოზუნგი დაიწყო; საბედისწერო შედეგმა არ დააყოვნა —საქართველო გაიხლიჩა. პოლიტიკურ დაპირისპირებათა ფონზე „უბრალო ადამიანი“ განსაკუთრებულ კატეგორიად იქცა (იგი ყველასგან მიტოვებული, მოქმედების გზაჯვარედინზე დგას, არ იცის საით წავიდეს, მომავალშიც მისი იგნორირება, ბედის ანაბრად მიტოვება საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

მეოთხე. მოდელის ორგანიზაციული სტრატეგია. იგი უნდა დაეყრდნოს თანამედროვე პრაქტიკაში აღიარებულ პრინციპს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთული (ზიგზაგისებური) პროცესი სახელმწიფო რეგულირებას (სტრატეგიულ დაგეგმვას, მართვას) საჭიროებს, რომ აუცილებელია მოქნილი სახელმწიფო ეკონომიკური სტრუქტურების (მექანიზმების) ფორმირება-ფუნქციონირება (მხედველობაში გვაქვს არა ეკონომიკური პროცესების უშუალო მართვა, როგორც ეს სოციალისტურ სტრუქტურებში იყო, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სწორად განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაციული, ეკონომიკური, სამართლებრივი ბაზის განმტკიცება). რომ აუცილებელია პერსპექტიული საბაზრო ძალების განვითარება, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და სხვ.

თანამედროვე ეკონომიკა ინტეგრაციული კავშირების ინტენსივობით, წარმოების განსაზოგადოების, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მასშტაბებით, ერთნაირად მგრძნობიარეა კერძო და სახელმწიფო ინტერესების ზემოქმედების მიმართ. ამასთან შინაგანი ძალებით ამზადებს მათი წინააღმდეგობრივი ურთიერთმოქმედების შერბილების სათანადო გარემოს (კონკურენცია, საკუთრების ფორმათა რაციონალური შერწყმა, ინტეგრაციულ ერთიან პროცესში ჩართვა, მსოფლიო პრაქტიკაში ეკონომიკის რეგულირების აპრობირებული მეთოდების, კრიტერიუმების საფუძველზე ახალი ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბება და ა. შ.).

მოდელის ორგანიზაციულ სტრატეგიაში გათვალისწინებულ უნდა იქნას ის, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება იზოლირებულად არ მიმდინარეობს. იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების შემადგენელი ნაწილია. ამიტომ პირდაპირ განიცდის კონკრეტული ეტაპის პოლიტიკის ზეგავლენას, რამაც გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება ეკონომიკა პოლიტიკის მძევლად გადააქციოს. ამიტომ ეკონომიკური გარდაქმნები კომპლექსურად, თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს. აუცილებელია ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მთლიანი სისტემის ჩამოყალიბება, ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობათა ისეთი პრინციპებით გარდაქმნა, რომლებიც კვლავწარმოებითი პროცესის ეფექტიან რეგულირებას, მოქალაქეების, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების პასუხისმგებლობის ამაღლებას უზრუნველყოფს.

ეკონომიკის რეგულირების ორგანიზაციულ სისტემაში ცენტრალურია ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით პროგნოზის, პროგრამის, გეგმის ეფექტიანი გამოყენება.

ამრიგად, მომავალი ეკონომიკური მოდელის ძირითად განმსაზღვრელ პარამეტრებად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ადამიანის ცხოვრების ხარისხი, პიროვნების თვითრეალიზაციის გარემოს შექმნა, მტკიცე სოციალური გარანტიები, ძლიერი სახელმწიფო (არა „ბაზრის ღამის დარაჯი“), რომელიც სიცოცხლისუნარიანია შექმნას სათანადო სტრუქტურები, ეკონომიკური და სოციალური წესრიგი, უზრუნველყოს საზოგადოების განვითარების ელემენტებს შორის წონასწორობა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა. ახალმა ეკონომიკურმა მოდელმა საბოლოო პასუხი უნდა გასცეს დიდი ხნის წინათ დასმულ კითხვას — საქართველოში თუ როგორი საზოგადოება უნდა აშენდეს. დავუბრუნდეთ „ველურ კაპიტალიზმს“? ავადგინოთ „პრიმიტიული სოციალიზმი?“, თუ ორიენტაცია ავიღოთ პოსტინდუსტრიული საზოგადოების ახალ ტიპზე, რომელიც საკუთრების ყველა ფორმის ეფექტიანად გამოყენებით, სოციალური სამართლიანობის სტრატეგიას დაეყრდნობა და, რაც არსებითია, ეროვნული ფენომენის გაგების სიმაღლეზე იქნება?

ჩვენ მხარს ვუჭერთ მესამე ვარიანტს. საქართველოს მარტო „ეროვნული ხელწერით“ ცხოვრება არ შეუძლია. იგი მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში პროცეს-ნაკადად უნდა შევიდეს. ამ შემთხვევაში იგი მსოფლიოს განვითარების საერთო პროცესიდან აიღებს იმას, რაც მას პირდება, ამასთან მას მისცემს, იმას, რაც ეროვნული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით შემოწმებულია და ზოგად იდეალებს პასუხობს. ჩვენ სხვებიც უნდა ვაზიაროთ ჩვენებურ სიბრძნეს და მიამიტობასაც, ჩვენებურ სიმტკიცესა და სისუსტესაც, ერთი სიტყვით ყოველივე იმას, რასაც ქართული ჰქვია, ეს წამგებიანი არ არის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართულში ყოველთვის პოზიტიური სჭარბობს, საბედნიეროდ იგი განვითარებას განსაზღვრავს. ამაშია საქართველოს ძლიერების წყარო. იგი დღეს შეიძლება დიდ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დინებებს საკმარისად ვერ კვებავდეს, მაგრამ მისი დაშრობა ყოვლად შეუძლებელია. იგი საბედნიეროდ მუდმივია. ქართველი კაცის ამ ფენომენს გაფრთხილება უნდა.

საქართველოს მსოფლიოს ეკონომიკის განვითარების ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვისათვის სჭირდება ისეთი ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ორგანიზაციულ-მმართველობითი სისტემები, რომლებიც შეძლებენ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების რაციონალურ შეთანაწყობას, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის (და არა მისი საწყისი ეტაპის) სოციალური ტრანსფორმაციის შედეგების გამოყენებას. მაღალი ტექნოლოგიების, მართვის მობილური ორგანიზაციის დანერგვას და მათ ბაზაზე შრომის მაღალმწარმოებლურობას, რაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის (მომსახურების) წარმოების საფუძველია. ამაში ვგულისხმობთ ჩვენს კულტურასაც, ხელოვნებასაც, მეცნიერებასაც. როცა ქართველის ბრძნული სიტყვა წიგნში წაკითხული, სცენიდან გაგონილი, ან გიორგი მახარაშვილის („ჯარისკაცის მამა“) ვაზისადმი მოფერებით გამოხატული, საუკუნეების მანძილზე გამოძერწილი მადლიერების გრძნობა, უცხოელს დაეუფლება, სიკეთისაკენ უბიძგებს, ჩავთვალოთ, რომ საქართველო იმარჯვებს, ქართული გენი თავის საქმეს აკეთებს. სწორედ ამისათვის არის საჭირო ეროვნული საზღვრების „გაფართოება“, მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ღირსეული ადგილის დამკვიდრება. განვითარების ასეთი სტრატეგია ეროვნული ეკონომიკის შესაბამისი მოდელის ფორმირებას მოითხოვს.

ჩვენი აზრით ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გლობალურ ინტერესებს უფრო პასუხობს შერეული, მრავალწყობიანი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, (ავტორის ეს მოსაზრება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე 1989-1990 წლებში, ოფიციალურად დაფიქსირდა).

როგორია შერეული, მრავალწყობიანი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის არსი? მას სამი ძირითადი პირობა-ფაქტორი განსაზღვრავს.

პირველი. შერეულ, მრავალწყობიან ეკონომიკაში უნდა ვიგულისხმოთ საკუთრების სხვადასხვა ფორმათა და მეურნეობის სოციალური ტიპების ერთობლიობა, მათი თანაარსებობის ხელსაყრელი საბაზრო გარემო.

მეორე. სახელმწიფოს ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში აქტიური მონაწილეობა. აქ მთავარია, სახელმწიფოს ფუნქციების სწორად განსაზღვრა (და არა ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონა), ორგანიზაციულ-ეკონომიკური და მმართველობით ურთიერთობათა სტრატეგიული და ტაქტიკური ინტერესების რეგულირება შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სტრუქტურების მეშვეობით.

მესამე. ეკონომიკის განვითარების სოციალური მიმართულების ისეთი პრინციპების ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის კეთილდღეობის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფას, სოციალური გარანტიების საიმედო სისტემის ჩამოყალიბებას.

ზოგადად თუ ვიტყვით ასეთი ტიპის საბაზრო ეკონომიკას, როცა იგი დასახელებული ელემენტებისაგან შემდგარი ორგანულად შეკრული მთლიანობითი სისტემაა, გააჩნია პოტენციური რეზერვები ეკონომიკური ინტერესების (კერძო, კოლექტიური, სახელმწიფო) გადაკვეთაზე თვითრეგულირების ისეთი ფორმის (მექანიზმის) ბუნებრივად წარმოშობა-გამოყენებისათვის, რომელიც ადეკვატურად უპასუხებს განვითარების კონკრეტული ეტაპის თავისებურებებს და აწონასწორებს ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს. ეს გარემოება ხელს შეუწყობს სახელმწიფო საზოგადოებრივ და პირადი ინტერესების საბაზრო და სახელმწიფო მექანიზმებით რეგულირების სათანადო პირობების მომზადებას, შესაბამისად ხელსაყრელი მატერიალური და ფსიქოლოგიური საფუძველი შეიქმნება სხვადასხვა სოციალური ფენების ინტერესების დაბალანსებისათვის. ყოველივე ეს საზოგადოებაში სოციალური თანხმობის მიღწევის აუცილებელი წანამძღვარია. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია, იგი ფაქტობრივად განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების ვექტორის არჩევას.

შერეული, მრავალწყობიანი სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ეროვნული მოდელის (მისი სტრუქტურის) ფორმირება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და ხანგრძლივი პროცესია. გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ერთდროულად განხორციელების თვისებრივად ახალ ფაზაში შევიდა (როცა ძველი პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული სისტემები დანგრეულია, ახლის ფორმირება იწყება).

ახალ მოდელზე ზემოთ დასახელებული პრინციპების მიხედვით გადასვლის რთულ პროცესში უნდა მოხდეს ამოცანა-პრობლემების სისტემატიზაცია, განისაზღვროს განვითარების პრიორიტეტები, დროსა და სივრცეში მათი რეალიზაციის ეტაპები, თანამიმდევრობა, მექანიზმები და სხვა. ამიტომ ეს პრობლემები ცალკე კომპლექსურ განხილვას საჭიროებს.

ნოდარ ჭითანავა.

ჟამი ხვნა-თესვისა

[illegible]

1995 წლის 10 მარტის ოპერატიული მონაცემებით რესპუბლიკაში საგაზაფხულოდ მოხნულია 187 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი, საგაზაფხულო კულტურები დათესილია 23 ათას 800 ჰექტარზე.

პირველ ეტაპზე 10 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით ქართლ-კახეთში შეზიდულია 1340 ტონა დიზელის საწვავი. ზუგდიდის რაიონში შეიზიდა 68 ტონა. სულ თებერვალში რესპუბლიკის რაიონებში შეზიდულია 1408 ტონა დიზელის საწვავი, ხოლო დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში მარტიდან დაიწყო და კვლავაც გაგრძელდება საწვავის შეზიდვა.

ყვარლის რაიონში სერიოზული სამუშაოები ჩატარდა ღვინის ქარხნებისა და სასოფლო-სამეურნეო-საწარმოების ინტეგრაციისათვის. შედეგიც სახეზეა.

ინტეგრირების საფუძველზე შექმნილ ფირმებში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები ვენახებში, ერთწლიან კულტურებში, სხვა დარგებში, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მეურნეობრიობის ამ ფორმის გამოყენებით შესაძლებელია არა მარტო კრიზისიდან გამოსვლის გზების დასახვა, არამედ ამ გზების დაძლევაც.

ამ რამდენიმე დღის წინათ, საქართველოში იმყოფებოდნენ მსოფლიო ბანკის და „ფაო“-ს წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პრივატიზაციის პრობლემებზე მუშაობდნენ.

პროგრამების მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისათვის იაპონიამ ტექნიკური დახმარების სახით ჩვენს რესპუბლიკას უკვე გამოუყო 520 ათასი დოლარი.

სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრმა ბატონმა ზურაბ გეგეჭკორმა და მსოფლიოში ბანკის წარმომადგენლებმა 10 მარტს ხელი მოაწერეს იაპონური გრანტის განკარგვის შეთანხმებებს.

ნაზი იმნაიშვილი.

კრედიტები საქართველოს სოფლის მეურნეობას

რომი. საქართველოს ელჩმა იტალიაში ბეგლარ თავართქილაძემ მიიღო გაერთიანებული ერების სასურსათო და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის — ფაოსა და მსოფლიო ბანკის დელეგაცია, რომელიც დაბრუნდა საქართველოდან. დელეგაციის ხელმძღვანელმა, ფაოს ინვესტიციის ცენტრის მთავარმა ეკონომისტმა დაუდ ხანმა მოახსენა ელჩს, რომ მათ ყურადღებით შეისწავლეს საქართველოს სოფლის მეურნეობის პრობლემები, გაეცნენ ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობას. მიუხედავად სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მცდელობისა, ეკონომიკური რეფორმები მძიმედ მიდის საქართველოში, — განაცხადა მან საუბარში. მსოფლიო ბანკის წამყვანმა ექსპერტმა ეზრეილ ბრუკმა გააცნო ელჩს დოკუმენტაცია, რომელიც მზადდება მსოფლიო ბანკის მიერ 55 მილიონი ამერიკული დოლარის გასაცემად საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

უნდა ავამოქმედდეთ!

შეუძლებელი არაფერია

ანუ, თუ გულით გვინდა, საქმეც გაკეთდება და ქვეყანაც გადარჩება

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველომ საკუთარი ეკონომიკის დანგრევა პირველმა დაიწყო და ყველასაც გაუსწრო. სამწუხაროდ, დღეს მას ეკონომიკა, ამ ტერმინის ფართო გაგებით, აღარ აქვს. ქვეყანაში სამრეწველო თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 80-იან წლებთან შედარებით თითქმის 80 პროცენტით შემცირდა. უარესის წარმოდგენა და გაკეთება შეუძლებელი იყო. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ! მაშინდელი იდეოლოგიაც (ზოგიერთები ამ აზრს დღესაც ვერ შელევიან) — ძველი საძირკველი მთლიანად უნდა დაინგრეს, რომ ახალი ვაშენოთ, — ავიტაცეთ და აღარავისი ვიხმინეთ. მერე გაირკვა, რომ მწარედ შევცდით, (თუმცა ბევრი მათგანი, ვინც ამას ქადაგებდნენ, დღეს თბილ ადგილებზე არიან მოკალათებულნი, არც შიათ და არც სწყურიათ), მაგრამ გვიანღა იყო თითზე კბენანი... ამას ისიც დაემატა, რომ ქვეყანა კუდის რიკამდე გავძარცვეთ. დაუსჯელობის სინდრომმა და სახელმწიფოს მხრივ მძარცველებისადმი ლოიალურმა, ზოგჯერ წამხალისებლურმა დამოკიდებულებამ ქვეყანა უკიდურესი სიდუხჭირის ზღვრამდე მიიყვანა. თითზე ჩამოსათვლელ საწარმოთა გარდა ყველა დანარჩენი გაპარტახდა, მათ ხელახლა ტექნიკურ აღჭურვას კოლოსალური თანხები და ოფლის ღვრა დასჭირდება.

ის პროცესები, რაც ბოლო ათწლეულში საქართველოში განვითარდა, არც ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისთვის არის უცხო, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ასეთი მასშტაბები მას არსად მიუღია. წარმოების ტემპი ყველგან საგრძნობლად შემცირდა, დეზინტეგრაციულმა პროცესებმა ამ რესპუბლიკების ერთიან ეკონომიკაზეც დამანგრევლად იმოქმედა. ეს ბოლო წლებში კიდევ უფრო თვალნათლივ გამოიკვეთა, და მოამწიფა აზრი, რომ მათ უერთმანეთოდ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა უაღრესად გაუჭირდებათ.

დღეს უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ნგრევის პროცესი შენელდა. საქართველოში ამის სიმპტომები უკვე გამოჩნდა. მთავრობამ, როგორც ჩანს, მოიცალა ეკონომიკისთვის და მას ბოლო დროს მეტ ყურადღებას უთმობს. ამის დასტურად თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საქართველოში“ მიმდინარე პროცესები გამოდგება.

სახელმწიფოს მეთაურის ძალისხმევით მთავრობამ კომბინატს ნედლეულისა და სხვა მასალების შესაძენად შეღავათიანი სესხი მისცა.

მაუდ-კამვოლის კომბინატის ამუშავება რესპუბლიკაში მსუბუქი მრეწველობის დარგს მძლავრად უბიძგებს, ამუშავდება შულავრისა და ორხევის მატყლის სარეცხი ფაბრიკები, სამკერვალო საწარმო „ამირანი“, წყნეთისა და ყოფილი „პირველი მაისის“ სამკერვალო ფაბრიკები, რაც მთავარია, ბოლოს და ბოლოს, რესპუბლიკაში კერძო თუ საზოგადოებრივ სექტორში წლობით დაგროვილი ნედლეული, მატყლი, რომელიც უკანონოდ საზღვარგარეთ კაპიკებად გაჰქონდათ, რესპუბლიკას მოხმარდება. აქვე დამუშავდება და მეცხოველეობის ამ დარგის განვითარებას სამომავლოდ გარკვეულწილად წაახალისებს.

ეს დასაწყისია. ასე ფიქრობს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საქართველოს“ დირექტორის მოადგილე **ომარ ნადირაძე**.

რადგან საწარმოს სრული დატვირთვით ამუშავება დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, კომბინატი რთვა-ქსოვის ორ მეთოდს იყენებს — მაუდურსა და კამვოლურს, რომლებიც თავისი ტექნოლოგიით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ მაუდური ქსოვისთვის ადგილობრივი უხეში მატყლი გამოდგება, კამვოლური დამუშავებისათვის ფაფუკი მატყლია საჭირო, რომლის მიღება, სამწუხაროდ, ჩვენს პირობებში საკმაოდ რთული საქმეა. ამდენად, აქ ადგილობრივი ნედლეულით კამვოლური წარმოების სრულად ამოქმედება შეუძლებელია, თუმცა მდგომარეობის გამოსწორება ნაწილობრივ ქიმბოჭკოს გამოყენებითაც მოხერხდება.

ყინული დაიძრა, როგორც ვთქვით, სახელმწიფომ გამონახა სახსრები მაუდ-კამვოლისათვის, ამ საქმეში ჩაებნენ მრეწველობისა და ფინანსთა სამინისტროები, ეროვნული ბანკი, საწარმომ თანხების მიღება უკვე დაიწყო.

კომბინატი ფულის ნაწილს აწვდის მატყლის სარეცხ ფაბრიკებს, რომლებსაც ამ ნედლეულის შესყიდვის გამოცდილება აქვთ. როგორც ბატონი ომარ ნადირაძე ამბობს, მათ უკვე ინტენსიურად დაიწყეს მოსახლეობისაგან მატყლის შესყიდვა და ნედლეულის პირველი პარტიაც მიაწოდეს საწარმოს.

რესპუბლიკაში საერთო ენერგოკრიზისის ფონზე დღეს მრეწველობის გამართული მუშაობა თითქმის შეუძლებელია. ისიც საგულისხმოა, რომ ჩვენში საწარმოთა წინაშე წარმოქმნილი პრობლემები—უსახსრობა, უსაწვაობა, უდენობა, უგაზობა, უნედლეულობა გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქენერგოს სამსახურებს საგანგებოდ დაავალეს მაუდ-კამვოლის კომბინატს შეუფერხებლად მიაწოდონ ენერგია. ჯერჯერობით ეს მითითება სრულდება, ასე თუ გაგრძელდა, ამ მხრივ ფაბრიკას საწუწუნო არაფერი ექნება, აქაურებს საკმაო პრობლემას უქმნის უსაწვავობაც. გაზის გათიშვამ, რომელზეც საწარმოს ტექნიკური ციკლი იყო გამართული, საწარმოს ხელმძღვანელობას ახალი სატკივარი გაუჩინა — ორთქლისა და ცხელი წყლის უქონლად სართავ-საქსოვი მრეწველობა ვერ იმოქმედებს, საჭირო რაოდენობის მაზუთისა და სხვა საწვავის შემოტანა კი ჭირს. ეს კომბინატისთვის უმწვავესი საკითხია, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურისა და ქალაქის მერის დახმარებით, რომლებიც ამას წინათ ესტუმრნენ კომბინატს, ეს პრობლემა მოგვარდება, ყოველ შემთხვევაში, საწარმოს ხელმძღვანელობას დიდი იმედი აქვს.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი ამუშავდა, პროდუქციის გამოშვება დაიწყო. ერთ დროს სახელგანთქმული და მდიდარი საწარმო, რომელსაც სოციალური თუ სხვა ყოფითი პრობლემები ნაკლებად აწუხებდა, ახლა ფეხის ადგმას იწყებს, მაგრამ ჩვენს პირობებში დოვლათის შექმნა ერთი თავსატეხია, მისი გასაღება კი მეორე. კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება მოძველებული ტექნოლოგიებით შეუძლებელია. იგი, ბუნებრივია, უცხოურ საქონელს პაექრობას ვერ გაუწევს, ჩვენს ბაზარზე კი ამ უკანასკნელის ნაკლებობა არ იგრძნობა. ამდენად, საწარმოს წინაშე დღის წესრიგში დგას გასაღების ზონების მოძებნა.

საწარმოს ხელმძღვანელობას ჯერჯერობით ასეთ ზონად შუა აზიის რესპუბლიკები ესახებათ. უკვე, ასე ვთქვათ, თურქმენეთთან ბუნებრივი გაზის სანაცვლოდ თავიანთი პროდუქციის მიწოდების თაობაზე ჰქონდათ საუბარი. საწარმო შალის ქსოვილს უგზავნიდა მას. გამოჩნდნენ სხვა იქაური ფირმები, რომლებიც დაინტერესებული არიან თბილისელ ფეიქრებთან ურთიერთობით, ვნახოთ! ისიც საგულისხმოა, რომ მაუდ-კამვოლის ნაწარმი, შალისა და ნახევრადშალის პროდუქცია, ძირითადად ზამთარში იყიდება.

რესპუბლიკის საწარმოებისათვის ბოლო წლებში გადაულახავ დაბრკოლებად იქცა რკინიგზა, ურომლისოდაც პროდუქციის გატანა თუ ნედლეულის შემოტანა უსაშველოდ ძვირი ჯდება, ამიტომაც ამ ტრანსპორტის სრულფასოვნად ამუშავებასა და მაგისტრალების გახსნაზე დიდად არის დამოკიდებული რესპუბლიკის ეკონომიკის აღორძინება. ეს ერთ-ერთი უმწვავესი საკითხია, რომელიც სასწრაფოდ მოგვარებას მოითხოვს.

ძველი ეკონომიკური კავშირების რღვევამ, ყოფილი კავშირის მასშტაბით, როგორც ვთქვით, თითქმის ყველა საწარმოს შეუქმნა პრობლემები, ამან თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატსაც დაასვა დაღი, მათაც სათადარიგო ნაწილები, საღებავები თუ სხვა მასალები ძირითადად რუსეთიდან შემოჰქონდათ, დღეს კი... თუმცა, იქ დღეს ამ მასალების შოვნა არ ჭირს. ფული გადაიხადე და წამოიღე, მაგრამ გადმოზიდვა?! საავიაციო ტრანსპორტით შემოზიდვა წამგებიანია, პროდუქციას უსაშველოდ აძვირებს, რკინიგზა არ მუშაობს, ზღვა ყველგან ხელმისაწვდომი არ არის, ჰოდა, ამ ყოფაში, დღეს თავს იმტვრევს კომბინატის ხელმძღვანელობა, რა გზას დაადგეს!

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ტექნიკური დანადგარებით აღჭურვილი საწარმოა. მას ჩვენში ბადალი არ ჰყავს, ბაზაც და სათავსებიც საკმაოდ მოწყობილი აქვს, მაგრამ მათ რატომღაც დღემდე ერთობლივი წარმოების შესაქმნელად უცხოელი პარტნიორის მოძებნა გაუჭირდათ, თუმცა ერთი პერიოდი ჰქონდათ ისრაელთან მოლაპარაკება, მაგრამ ეს საქმე ვერ აეწყო. ახლაც ეწვივნენ მათ სტუმრები ევროგაერთიანებიდან, გერმანიიდან. გერმანელებთან პარტნიორობა აქაურებს ყველაზე მეტად აძლევთ ხელს, რადგან გერმანიას ამ დარგში უდიდესი გამოცდილება აქვს. კომბინატიც ძირითადად გერმანული მანქანა-დანადგარებით არის აღჭურვილი. ამ უკანასკნელებთან პარტნიორობით ტექნიკის ექსპლოატაციაც გაიოლდება და დანადგარების გადახალისებაც შედარებით უმტკივნეულოდ ჩაივლის. გერმანელებმა დაათვალიერეს საწარმო, დაიბარეს, რომ ეკონომიკურად გათვლიდნენ ყველაფერს და შეგვეხმიანებოდნენ, მაგრამ... უცხოელები რესპუბლიკაში ხშირად ჩამოდიან, ნახავენ, დაზვერავენ ყველაფერს და უჩინარდებიან. ვერ ვიტყვით, რომ ისინი ჩვენს მიმართ ინტერესს არ იჩენდნენ, პირიქით, მაგრამ საბოლოოდ თანამშრომლობაზე ჯერჯერობით თავს იკავებენ. ამის მიზეზი საყოველთაოდ ცნობილი და მარტივია; ვიდრე ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება არ დამშვიდდება და ჩვენს გზებზე ძარცვა-ყაჩაღობა არ შეწყდება, თავის კაპიტალს აქ არავინ შემოიტანს და ჩვენც წელათრეული ვივლით. თუმცა, ამ მხრივ რესპუბლიკაში უკვე გამოიკვეთა სასიკეთო ნიშნები, ხელისუფლებას დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ცდილობს ქვეყანას სრულფასოვანი სახელმწიფოს სახე მისცეს. ეს რომ მოხერხდეს, როგორმე მრეწველობა უნდა ამოქმედდეს. უამისოდ მომავალზე ფიქრი ზედმეტია, მაუდ-კამვოლის კომბინატ „საქართველოსადმი“ ხელისუფლებისა და მთავრობის დღევანდელი დაინტერესება იმედის საფუძველს იძლევა.

შოთა მაჭარაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა

ინტერვიუ

კანონის დარღვევას გამართლება არ გააჩნია

შარშან ნოემბერში, რესპუბლიკის კონტროლის პალატის მუშაობის სრულყოფის მიზნით, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით, რაიონული კონტროლის პალატების ნაცვლად შეიქმნა რეგიონული კონტროლის პალატები. კახეთის რეგიონული პალატის თავმჯდომარეს ვაჟა ნაცვლიშვილს ესაუბრა ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი ზურაბ არსენიშვილი.

— რეგიონული სტრუქტურის შექმნით, — თქვა ვ. ნაცვლიშვილმა, — მიღებულ იქნა დამოუკიდებელი, ე. ი. ყოველგვარი გავლენის გარეშე კონტროლის განხორციელების უფლება, რა თქმა უნდა, საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის კანონის ფარგლებში. ამასთან კონტროლის ორგანოების სტრუქტურის სრულყოფამ უკვე საწყის ეტაპზე უზრუნველყო შემოწმების როგორც მასშტაბის, ასევე ხარისხის ამაღლება. თავად განსაჯეთ: რაიონულ რგოლში მხოლოდ 3-4 შტატიანი მუშაკი იყო. ჩვენ სამსახურში 40 სპეციალისტია გაერთიანებული და ეს შესაძლებლობას გვაძლევს გავაკონტროლოთ კახეთის რეგიონში არსებული მთელი რიგი პრობლემური საკითხები, რაც საბოლოოდ შემუშავებული რეკომენდაციების ხარჯზე უზრუნველყოფს რეგიონის ეკონომიკაში არსებულ დარღვევა-დანაშაულობათა აღმოსაფხვრელი ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ორგანიზაციაში დისციპლინისა და მომთხოვნელობის ამაღლებას. ამიტომ ჩვენ არანაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებთ შიდაკონტროლს, შემოწმებულის გადამოწმებას და ა. შ. ამას წინათ სამსახურიდან დავითხოვეთ ერთ-ერთი მთავარი ინსპექტორი, რომელმაც შემოწმების სრულყოფილი მასალები ვერ წარმოადგინა, ბევრისთვის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო. ზოგს იგი ზედმეტად მკაცრადაც მოეჩვენა, მაგრამ სხვაგვარად, „ლიბერალური“ ქმედობით ჩვენ ვერ შევძლებთ სახელმწიფო ინტერესების დაცვას, ვინაიდან ეკონომიკის სფეროში ურთიერთშელავათისათვის ადგილი არ რჩება.

—კახეთის რეგიონის კონტროლის პალატამ ამას წინათ განიხილა ახმეტის, დედოფლისწყაროს და საგარეჯოს რაიონებში ნორმირებული პროდუქტით მოსახლეობის მომარაგების საკითხი. რა სურათი გამოავლინა შემოწმებამ?

— ამ, მოსახლეობისათვის მეტად საჭირბოროტო საქმეში, სამივე რაიონში დაშვებულია იდენტური სერიოზული დარღვევები. როგორც წესი, დღემდე დაუზუსტებელია რაიონების მოსახლეობის რაოდენობა. იმ მოტივით, რომ ერთმანეთს არ ემთხვევა მოსახლეობის აღრიცხვის სტატისტიკური და საკრებულოთა მონაცემები (საკრებულოთა მონაცემებით ახმეტაში მოსახლეობის მეტობა შეადგენს 1.034 მოქალაქეს, საგარეჯოში 5.181, დედოფლისწყაროში 3.460-ზე მეტს) წინასწარ, უსაფუძვლოდ მცირდება ერთ სულზე გასაცემი პროდუქტების ნორმები, იქმნება დანაშაულებრივი ქმედობის წანამძღვარი. ხშირია პროდუქტების არამიზნობრივი გამოყენება. ნორმირებული პროდუქტების ფონდის პირდაპირი კუთვნილების მიუხედავად ახმეტის ყოფილი გამგებლის ზ. ქინქლაძის განკარგულებით, პურის ცხობის ფონდიდან 160 ტონა ფქვილი გამოეყო ფირმებს „თუშეთსა“ და „მეტყევეს“. თავის მხრივ, „თუშეთმა“ ჰუმანური დახმარების სახით გასცა 19150 კგ. ფქვილი, რამაც შეამცირა ფირმის მოგება და, აქედან გამომდინარე, დაზარალდა სახელმწიფო ბიუჯეტი.

ახმეტის კოოპერაციული მრეწველობის კომბინატშიც არამიზნობრივად იყენებდნენ ნორმირებულ ფქვილს. შარშან ცხობაზე დაიხარჯა მხოლოდ მისი ნახევარი. კომბინატის ხელმძღვანელობა სათანადო ზომებს არ ახორციელებს მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მიზნით. 1994 წლის 30 ივლისს წნორის წისქვილკომბინატიდან ავტომანქანის მძღოლის ძამსაშვილისთვის გაცემული 7520 კილოგრამი ფქვილი შემოსავალში არ ყოფილა ნაჩვენები. კომბინატში ფქვილის დანაკლისმა შეადგინა 22.202 კილოგრამი. ახმეტის რაიონში მოსახლეობისათვის განკუთვნილი ნორმირებული პროდუქტების განაწილების შემოწმების შედეგად ბიუჯეტში დამატებით ჩასარიცხი გახდა 17 მილიარდი კუპონი.

კახეთის რეგიონული კონტროლის პალატის პრეზიდიუმმა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია ახმეტის რაიონში მოსახლეობისათვის განკუთვნილი ნორმირებული პროდუქტების მიღება-განაწილების საქმეში რაიონული გამგეობის, რაიკოოპკავშირისა და სოფლის საკრებულოების მიერ გაწეული მუშაობა.

მატერიალურ ფასეულობათა დაცვისადმი არასათანადო კონტროლის განხორციელების, ნორმირებული ფქვილის არამიზნობრივი და უკანონო ხარჯვის, პურის ცხობის მოუგვარებლობისა და შემოწმების აქტში ფიქსირებული სხვა დარღვევა-ნაკლოვანებებისათვის ახმეტის კოოპერაციული მრეწველობის კომბინატის დირექტორი ზ. ნაროზაული გადაყენებულია დაკავებული თანამდებობიდან და მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა ახმეტის რაიონის პროკურატურასა და ცეკავშირს.

ანალოგიური დარღვევებია დაფიქსირებული დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს რაიონებში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩამოყალიბდა ნორმირებული პროდუქტის განაწილების დანაშაულებრივი სისტემა.

გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ კანონის დაცვაშია, რომლის დარღვევასაც დღეს, შესაბამისი პასუხისმგებელი მუშაკები, ათასგვარი კეთილშობილური მიზნით ხსნიან: არსებული წესის გვერდის ავლით, სხვა კატეგორიის მოსახლეობის ხარჯზე ვითომდა ეხმარებიან მწყემსებს, მასწავლებლებს, საბავშვო ბაღებს. მაგრამ საბოლოოდ ყველა ზარალდება, რადგან ათას ხელში გამოვლილი პროდუქტი ხშირ შემთხვევაში ალებ-მიცემობის და ცალკეულ პირთა გამდიდრების საშუალებად იქცევა. დანაშაულებრივ ქმედობათა გასამართლებლად იშველიებენ ობიექტურ მიზეზებსაც. ვთქვათ, რომ პური გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე მისი ამჟამინდელი სარეალიზაციო ფასია, არის ენერგოკრიზისი და ა. შ. რა თქმა უნდა, ეს საკითხები მოსაგვარებელია. თუ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ვცხოვრობთ, ფასი უნდა განთავისუფლდეს, თუ ეკონომიკა სახელმწიფოს მიერ რეგულირებადია, მაშინ სახელმწიფომ დაფაროს არსებული ფასთა განსხვავება, ე. ი. მისაღებია სწორი გადაწყვეტილება, და თუ ეს პრობლემა არ წყდება, მაშინ მის შედეგად წარმოქმნილი ქაოსი ვიღაცას აძლევს ხელს. ჩვენ, სახელმწიფო კონტროლიორები, ვალდებული ვართ დავეყრდნოთ მხოლოდ ნორმატიული აქტების მოთხოვნებს,

---

ეს ჩვენი საქართველოა!

წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა...

ამ ერთი წლის წინათ ჭოროხს გაღმა — ბორჩხაში ვიყავი ჩვენებურებთან. ხიდის პირი იდგა. თავისი კოპწია ოდის წინ, უშველებელი კაკლის ძირში, პატარა ტაბლა გაეშალა ჩვენს მასპინძელს ნაზიმ ბაიძეს... სამოსახლო კარგი შეურჩევია ნაზიმს, ამ მთის გადაღმა საქართველოაო — გვაჩვენებს.... აქვე ბექობის ძირში კი გრიალით და ტალღების ტყლაშუნით შეუჩერებლად გარბის ჭოროხი ზღვისკენ, ბათუმისკენ.

— ბავშვობაში, — გვეუბნება ნაზიმ ბატონი, — პატარ-პატარა ნაფოტებს ვთლიდით, ზედ მოკითხვის ბარათებს, ჩვენს სახელებსა და გვარებს ვწერდით... მერე მოვისვრიდით მდინარეში და თვალყურმოკლეჭილები მივდევდით, რიყეზე ფეხის გულებს ვიგლეჯდით იქამდე, ვიდრე ჩვენი ნაფოტა-წერილი თვალს არ მიეფარებოდა. ასე მიგვქონდა პატარა ნაფოტებს ჩვენი მონატრება სამშობლოსთან, ახლობლებთან, ნათესავებთან, იმათთან, ვისაც ბედის უკუღმართობამ ჭოროხს გაღმა დაგვიტოვა.

აი, თურმე საიდან ჩამოცურებულა ჩვენებური „განდაგანას“ ის ალვის ხის ჩამონათალი ნაფოტი, დღესაც რომ „სიყვარულის შემონათვლად“ მოაქვს ჩვენთვის ჭოროხს და ისევ ძველებურად გვეღიღინება სულსა და გონებას.

ამას წინათ შუახევში ჩემი მეგობრისა და კოლეგის მერაბ ბერაძის და შუახეველთა გამგებლის ანზორ გოგიტიძის თაოსნობით ჩვენმა თბილისელმა მეცნიერმა ინჟინრებმა ერთი პატარა მიკროჰესი გამართეს... მთის მდინარეზე მოტივტივე გენერატორს მილებით წყლის ნაკადი მიუშვეს და.... უსინათლობით შეწუხებულ-დაბეჩავებული სოფელი გაანათეს.

ჩვენც მივედით... რაღა წისქვილი და რაღა მიკროჰესი. მართლაც, საამო სანახავია, ღარსა თუ მილში დაქანებული წყლის ნაკადი რომ ეძგერება ხოლმე სატრიალას, მაგრამ კიდევ უფრო საამოა, როცა ამ გარემოში შენს კლასელსა და მეგობარს შეხვდები, ზურგზე მოგდებული ჩანთითა და ჩვენი ფოლკლორისტების ამალით.

რამდენი ხანია ჩვენი ვახუშტი კოტეტიშვილის კოლორიტული ხმა აღარ გაგვეგონება ეკრანიდან... მთაწმინდაზე შემდგარი მისი საგვარეულო სახლივით ჩანავლდა, ჩაიფერფლა ის ფოლკლორული საღამოებიც, ტაშს რომ უკრავდა მთელი საქართველო. აფსუს, რა ნიჭითა და გონებით სავსე ხალხმა გაიელვა ჩვენს თვალწინ იმ საღამოებზე წლების მანძილზე. რამდენი ახალი შედევრით — ლექსით, სიმღერით თუ ცეკვით გაამდიდრა ჩვენი ხელოვნება, სული, ზნეობა, მთელი ერი, საქართველო.

კარგა ხანია ფოლკლორისტები ექსპედიციებში ველარ დადიან. მაშ, რამ მოიყვანა პროფესორი ვახუშტი კოტეტიშვილი აჭარის მთებში? გთხოვთ, თვალი მიადევნოთ ჩვენს დიალოგს:

ანუ საუბარი მონატრებაზე, შრომის სიკეთეზე, ვახუშტი კოტეტიშვილის ფოლკლორულ გუდა-ჩანთაზე და აჭარელი კაცის ნიჭსა და უნარზე

— ვატყობ თქვენი გამოჩენა არ უნდა იყოს შემთხვევითი აჭარის მთიანეთში...

— უპირველესად იმით მინდა დავიწყო, რომ უკანასკნელ ხანს ქართული ინტელექტუალური ძალების თავმოყრა ხდება ბათუმში. ეს გასაკვირი არც არის, რადგან ჩვენ ყველანი, განსაკუთრებით შემოქმედებითი ინტელიგენცია, მონატრებული ვართ ელემენტარულ მუშაობას.

საქართველოში შექმნილმა ვითარებამ, უმძიმესმა პირობებმა, რომელშიც აღმოვჩნდით, ჩააქრო, ჩაანავლა ეს პროცესი. აჭარა გახლავთ ერთადერთი რეგიონი, რომელმაც სასწაულებრივ შეინარჩუნა მშვიდობა, სიკეთე. ერთი სიტყვით, ისეთი ატმოსფერო, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს აკეთოს თავისი საქმე, ილვაწოს ისე, რომ რაღაც შესძინოს საკუთარ სულსაც და მთელ ერსაც. სწორედ ამიტომაც არის ასეთი დენადობა აჭარისაკენ, მე ყოველთვის ხინჯად მქონდა, რომ ჩემთვის უსაყვარლესი კუთხე — აჭარა თავის დროზე უყურადღებოდ დამრჩა.

რამდენიმე თვის წინ ვიყავი ბათუმში და შევხვდი ბატონ ასლან აბაშიძეს, რომელმაც ასე მითხრა: — თქვენი ხმა (ალბათ ჩემს ჩახლეჩილ ხმას გულისხმობდა) აკლიაო აჭარას და როდის გაგვახარებთო. მაშინ მოვუბოდიშე და დავპირდი, რომ უმოკლეს ხანში ამ ხარვეზს შევავსებდი და აი, როგორც ხედავთ, ვავსებ კიდეც...

აქ ყოველგვარი პირობა შეგვიქმნეს ნორმალური საქმიანობისთვის, მხარში ამოგვიდგნენ აჭარის მინისტრთა საბჭო, კულტურის სამინისტრო, აჭარის რაიონების გამგებლები და ასე შევუდექით ამ ფოლკლორულ ალმართს აჭარის მთებში.

— მართლაც, კარგ ალმართს შესდგომიხართ, ჩემო ბატონო, რადგან ვიცი, რომ ამ ალმართის ბოლოს დიდი საგანძური გელოდებათ. ალბათ ამიტომაც დაგყავთ ამოდენა მრევლი — ასისტენტები, ტელერეჟისორები, ოპერატორები... ამ თქვენი ექსპედიციის დროს, რა იყო თქვენთვის ყველაზე მეტად საჩინო, გამორჩეული და დასამახსოვრებელი?

— აჭარა ყოველთვის იწვევდა დიდ ინტერესს, ჩვენი სახელოვანი მეცნიერები ზაქარია ჭიჭინაძე, თედო სახოკია, თანამედროვე აჭარელი მეცნიერებიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ ამ ხალხური საგანძურის შესწავლას. მაგრამ ერთია მათი ფიქსაცია მეცნიერული ნაშრომების სახით, სულ სხვაა მათი დაფიქსირება ტელევიზიით. მოგეხსენებათ, ტელევიზია უფრო საყოველთაოა, პოპულარული, ვიზუალური, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ადრე, როცა ამ ციკლს ვუძღვებოდი ტელევიზიით, არაერთხელ გვქონია ჩართული ჩვენს პროგრამებში ცალკეული სიუჟეტები, აჭარიდან, განსაკუთრებით ცეკვები...

არასოდეს გამომიტანია ხალხის სამსჯავროზე ე. წ. „საკლუბო“ მუშაობის შედეგები. ჩემი მთავარი მიზანი იყო მეჩვენებინა თქვენთვის სადღაც შორს, მიკარგულ სოფელში მივიწყებული გლეხი, რომელიც ან ლექსობს, ან მღერის, ან ცეკვავს, ან შესანიშნავ ნაკეთობებს აკეთებს, სწორედ ამის გამოვლენას ვისახავდი მიზნად ადრეც და ახლაც.

ამ ექსპედიციის დროს აჭარის ხუთივე რაიონი მოვიარეთ. ცხადია, ვერ ვიტყვი, რომ ვნახე და ამოვწურე ყველაფერი. ეს ერთ თვეში შეუძლებელია, მაგრამ წინ კიდევ დრო გვაქვს და აუცილებლად განვაახლებთ ამ მუშაობას, რადგან იმდენი საინტერესო მასალა აღმოჩნდა, რომ ვერც აგიწერთ.

ულრესად საინტერესოა ხალხური ქორეოგრაფია, ხალხური ცეკვის შესანიშნავი შემსრულებლები, რომლებიც აღვბეჭდეთ ფირზე. ვნახეთ შესანიშნავი მომღერლები, მეტად თავისებური ხალხური მელექსეები და რეწვის ოსტატები.

მაგალითად, ჩემთვის წარმოუდგენელი მოულოდნელობა იყო წყლის ჩარხის ნახვა ქედის რაიონის სოფელ ნამონასტრევში. ეს არის წყლის წისქვილის პრინციპზე მომუშავე ჩარხი, რომელზეც ხვეწენ ხეს და აკეთებენ საინტერესო ჯამებს. წყალი, იცოცხლეთ, ბლომად არის მთიან აჭარაში. ერთ ახალგაზრდა კაცს — ოთარ თურმანიძეს პატარა მდინარეზე გაუმართავს ეს მამა-პაპური ჩარხი და მუშაობს. მამაპაპისგან ნასწავლ ხელობას გადასცემს საკუთარ შვილებს. მათთან ერთად კიდევ რამდენიმე ახალგაზრდისთვის უსწავლებია ეს ხელობა.

შევხვდი აგრეთვე ჭიბონების მკეთებელ ხელოსანს — ვასო ირემაძეს. ისიც ულრესად საინტერესო პიროვნებაა. შესანიშნავი ჟღერადობის ჭიბონებს აკეთებს, მასაც ჰყავს თავისი აღზრდილი მოსწავლეები. ერთი სიტყვით, როგორც ვნახე, მამა-პაპათა ტრადიცია აქ უმთავრეს რელიქვიად ითვლება.

— ბატონო ვახუშტი, მოგეხსენებათ, ფოლკლორისტობა უპირველესად ადამიანებთან ურთიერთობას, მათ სულში ჩაწვდომას გულისხმობს. ასეთ დროს, გულებს გვიხსნიან ადამიანები. მარტო ლექსით, სიმღერითა თუ ცეკვით არ ამოიწურება ხოლმე ასეთი შეხვედრები. ამ დროს სხვაც ბევრი არის ხოლმე განსახჯელი. მაგალითად, ჩვენი დღევანდელი ვითარება, ატმოსფერო, რომელიც სუფევს საქართველოში, სოფელში, რაიონში. რას ამბობს ეს ხალხი, როგორ უყურებს იმ მოვლენებს, რაც ჩვენში ხდება. თუ შენიშნეთ რამე განსხვავება მათ აზროვნებაში, შეფასებებში, თუნდაც იმ გარემოსთან შედარებით, რომელშიც, მაგალითად, თქვენ დღეს ცხოვრობთ და საქმიანობთ?

— ათზბით სოფელი მოვიარე და არ შემხვედრია თუნდაც ერთი კაცი, რომელიც გულგრილი ყოფილიყო საქართველოს ბედ-იღბლისადმი. ყველა ულრესად კარგად არის გათვითცნობიერებული იმაში, თუ რა ხდება დღეს ჩვენს ქვეყანაში. არავინ მინახავს ისეთი, ვისაც შეეძლო ჩაეთვალა — აი, ჩვენ კარგად ვართ აჭარაში, დანარჩენ საქართველოს კი კისერიც უტეხიაო. იცით, ამას საგანგებოდ რატომ ვუსვამ ხაზს? მოგეხსენებათ, თბილისში ხშირად დადის ჭორი თუ მითქმა-მოთქმა, თითქოს აჭარაში ვითომ რაღაც სეპარატისტული განწყობა ბუდობდეს. ზოგი წამოგებულა კიდეც ამ ანკესს. ეს არის ჩვენი უვიცობის შედეგი. თუ არ მისულხარ, შენი თვალით არ გინახავს — რა გალაპარაკებს?

ამას ძალიან ავადმყოფურად განიცდის აქაური ხალხი, ვინაიდან აჭარელისთვის არ არსებობს უფრო დიდი შეურაცხყოფა, როცა ეჭვი შეგაქვს მის ქართველობაში.

მინდა, რომ გამოვიყენო ჩვენი ეს შეხვედრა და თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო ყველას:— გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სულს, რადგან არ არსებობს ადამიანისთვის უფრო დიდი გულისტკენა, ვიდრე მის ეროვნულობასა და სამშობლოს სიყვარულში შეიტანო ეჭვი. აქ შესანიშნავი, ბრწყინვალე საქართველო დაგხვდებათ ყველა სოფელში.

თქვენ მკითხეთ: — ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც რა შეგხვდათო? — შემხვდნენ არაჩვეულებრივი ბავშვები, რომლებსაც ფოლკლორი უყვართ. მოვიარე სკოლები, გადავიღე ყველაფერი, რასაც, ცხადია, სულ მალე შევთავაზებ ჩვენს ტელემაყურებელს. არაჩვეულებრივ პედაგოგებს შევხვდი მაღალმთიან აჭარაში, მაგალითად, შუახევის რაიონის სოფელ ნიგაძირის სკოლაში შესანიშნავი ქალბატონი ხელმძღვანელობს ფოლკლორულ წრეს. გამოვიდნენ მისი მოწაფეები და მათ მიერ მოპოვებული საოცარი მასალა წარმომიდგინეს.

და კიდევ: ჩამოსვლისთანავე პირველი, რამაც გამაოცა, ეს იყო რაღაც არაჩვეულებრივი სიმშვიდე. ზღვისპირა პარკში მჩქეფარე შადრევნები, მოსეირნე ხალხი, რომელიც ერთმანეთს უღიმის და ესალმება, არავის თვალებში არ არის სიძულვილი, არც სევდა — კეთილგანწყობაა ყველგან... ანუ ისეთი ვითარებაა, რაც ოდითგანვე იყო საქართველოში.

ჩვენი უბედურება ის არის, რომ რასაც დღეს აჭარაში ვხედავთ, ეს არაჩვეულებრივად გვეჩვენება. თუმცა ეს არის ნორმალური და ნორმალურ კაცს არ უნდა უკვირდეს, ასე უნდა იყოს, ასე უნდა ვცხოვრობდეთ. ჩვენ, საუბედუროდ, ისეთ ვითარებაში ვართ, თბილისში იქნება თუ სხვაგან, რომ არ ვიცით სახლიდან გასულ შვილს რა ბედი ეწევა. აი, ეს არის ჩვენი დიდი უბედურება. აჭარის ტერიტორიაზე როგორც კი შემოდიხარ, წამდაუწუმ გაჩერებს საგზაო პოლიცია, გამოწმებს ვინა ხარ, რა მიგაქვს, სხვისი არ ვიცი და, მე მსიამოვნებდა ყოველივე ეს. ვგრძნობდი იმას, რომ ქვეყანას პატრონი ჰყავს და ჩემს სიმშვიდესა და სიცოცხლეს ვიღაც უდგას დარაჯად. ეს უზარმაზარი რამ არის...

რაც შეეხება ბატონ ასლანს, მასთან პირადი ურთიერთობა არასოდეს მქონია... აჭარაში რომ დავიწყე მოღვაწეობა, ძალზე ბევრი ლეგენდა თუ ჭორი მესმოდა, ზოგი საქებარი, ზოგიც ავი. ასეთი მითქმა-მოთქმა, დღევანდლამდეც გრძელდება. პირველად რომ შევხვდი და ამ ფოლკლორულ საღამოებზე მოვილაპარაკეთ, მაშინ უკვე დავრწმუნდი, ვისთანაც მქონდა საქმე და როგორი აღმავლობის გზაზე იდგა საქართველოს ეს კუთხე.

ახლა უკვე თვენახევარია აქა ვარ და თავად ვხედავ რა ხდება, რა შენდება, რა კეთდება... მე თვითონ ვარ ის კაცი, რომელსაც ამ უბედურების დროს სახლი დაუწვეს და აუფეთქეს. ცხადია, აღფრთოვანებული ვარ, როცა ვხედავ როგორ შენდება აქ სახლები, ხიდები... ბატონ ასლანს მადლობაც კი ვუთხარი ამ მშვიდობისათვის, რაც არის აჭარაში. აჭარის გადარჩენა საქართველოს გადარჩენის იმედის სხივია, ამას ყველა ნორმალური ქართველი ასე უნდა აღვიქვამდეთ. ამას რომ ვამბობდი, ბატონ ასლანს ოდნავ სევდიანმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე და მითხრა: — რა ვიცი, ყველა ასე არ ფიქრობს თბილისშიო.

მიმაჩნია, რომ ის, რაც ვნახე აჭარაში, არის ყოვლად ნათელი პასუხი იმ შეკითხვაზე, ცოტა ნიშნის მოგებით რომ გაისმის ხოლმე — საით იყურებაო აჭარა? მე ვიტყვი, — აჭარა არსაით არ იყურება, თუ არა დანარჩენი საქართველოსკენ. აქაურები ზოგჯერ სიცილითა და ზოგჯერ გულისტკენით ამბობენ, რომ ზოგჯერ თბილისიდან ჩამოსული მავანი, ზემო აჭარაში რომ მიდის, თურმე თარჯიმანს თხოულობს გასაყოლად, ნუთუ ისევ ამ დონეზე ვდგავართ, თუნდაც ზოგიერთნი? ეს კურიოზია.

— თქვენ ბატონ ასლან აბაშიძეზე ჩამოაგდეთ სიტყვა. იგი ხშირად იტყვის ხოლმე, რომ აჭარა შუაგული საქართველოაო. მოგეხსენებათ, რასაც ვგულისხმობთ ამაში. აი ახლა სულ სხვა ურთიერთობანი დამყარდა ჩვენს მეზობელ თურქეთთან, სადაც ჩვენი მოდგმის მილიონობით ადამიანი ცხოვრობს. ალბათ დადგება დრო, როცა ასეთი ფოლკლორული ექსპედიციებით იქაც გადავინაცვლებთ. რას ფიქრობთ ამაზე?

— მე ვარ ნამყოფი თურქეთში, შევხვედრივარ ჩვენს თანამოძმეებს და გაოცებული ვარ მათი ფოლკლორით თუ ენობრივ-ლექსიკური მასალით, მაგალითად იქ გავიგონე საკმაოდ გავრცელებული ხალხური ლექსი, რომელიც ჩვენთან ყოველ სოფელში იციან: „ერთმა კაცმა ქორწილი ქნა, ფეხდამწვარი წიწილითა“. ასეთი უამრავია, რაც აქეთ არის, — იგივეა იქით. მე არც დიპლომატი ვარ და არც პოლიტიკოსი, მაგრამ ადამიანური პოზიცია ასეთია: —ჩვენთან არის რაიონები, სადაც არის თურქულენოვანი ფოლკლორი, ლექსიკა, ჩამობრძანდნენ თურქი ფოლკლორისტები, ჩაიწერონ ეს მასალები. ჩვენც დავეხმარებით, ასევე არც იმათ უნდა ჰქონდეთ საწინააღმდეგო, რომ იქაური ქართულენოვანი მასალაც მოვიძიოთ, ამაში, ვფიქრობ, ისინიც უნდა ამოგვიდგნენ მხარში.

— ბატონო ვახუშტი, უკვე ერთი წელია ბათუმში ვმუშაობ და, ცხადია, მეც ვესწრები ხოლმე სხვადასხვა საღამოებს, კონცერტებს. აქაურ ანსამბლებსა და მოცეკვავეებზე არაფერს მოგახსენებთ. პატარა ბავშვებმა გამაოცეს, განსაკუთრებით „ცეროდენების“ ტრიომ (რა ვქნა, ასე დავარქვი). უნდა ნახოთ რას უკრავენ, რას მღერიან და რას ცეკვავენ, ისეთ ილეთებს აკეთებენ, რომ ამ ჩნის კაცს, რომელსაც ამდენი წელია უშუალო კავშირი მაქვს ხელოვნებასთან, ასეთი არაფერი მინახავს.

— ახლა მე მკითხეთ, რეები ვნახე? — ბავშვების ცეკვა ვნახე შუახევში, ისეთი, რომ, ვერ აგიწერთ, სწორედ ცეროდენა ბიჭი ცეკვავდა. ხელვაჩაურის რაიონში მომიყვანეს პატარა ბიჭი — ელგუჯა დუმბაძე, რომელიც ჩვენებურად რომ ვთქვათ, ფრიად ორიგინალურ ჟანრში მუშაობს. მე ასეთი რამ არ მინახავს. ეს ციცქნა ბიჭი ზის სკამზე, დოლით იკეთებს აკომპანიმენტს და მღერის. ამოუწურავი მარაგი აქვს. მის სიმღერებს, რა თქმა უნდა, თავიდან ბოლომდე ვერ ვაჩვენებ ტელემაყურებელს, რადგან ეს ბავშვი საათნახევარს მღერის. საიდან იცის ამდენი შესანიშნავი ხალხური იუმორისტული ლექსი, გასაოცარია.

— ბატონო ვახუშტი, ერთი იდეა გამიჩნდა: — ხომ არ იქნებოდა საინტერესო ამ თქვენი ძველი გადაცემებიდან ხალხური შემოქმედების გამორჩეული ოსტატებიც მოგვეწვია ამ საღამოზე ბათუმში — კახეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, ქართლიდან... წარმოიდგინეთ, რა კარგ შტრიხს შემატებდა ეს ამ საღამოს.

— დიდებული იდეაა... მადლობას გიხდით ამისთვის. ბოლო ხანს აჭარაში იმდენი ხალხი ჩამოდის და მიდის, რომ ვფიქრობ, 10-15 ხალხური მელექსისა და შემოქმედის მიღება არ გაუჭირდებათ ჩვენს მასპინძლებს. შევეცდები, რომ მათ თავი მოვუყარო და წარვუძღვე აჭარისაკენ.

— მე კი ისლა დამრჩენია, რომ მადლობა გითხრათ სასიამოვნო საუბრისათვის და მოვიწვიოთ ჩვენი ფოლკლორის მოყვარულები ბათუმში, სახელმწიფო თეატრში — ვახუშტი კოტეტიშვილის ფოლკლორულ საღამოზე.

გია ჟელიძე,
„სრ“. აჭარის ბიურო.

რეკლამა

პარტიები და მოძრაობები

პოლიტიკურ ორგანიზაცია „ახალი საზოგადოება — საქართველოს არჩევანის“

წესდება

მიზანი და ამოცანები

პოლიტიკური ორგანიზაცია (შემდგომში ორგანიზაცია) „ახალი საზოგადოება —საქართველოს არჩევანის“ უზენაესი მიზანი საქართველოში „ახალი საზოგადოების“ აშენებაა.

ეს საზოგადოება არც მარქსისტული სოციალიზმია და არც კლასიკური კაპიტალიზმი. იგი თანამედროვე ცივილიზაციის პირმშოა და განვითარების „მესამე გზად“ არის მიჩნეული, რომელიც დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში რეალურად არსებობს და „საყოველთაო კეთილდღეობის“, „სოციალური სამართლიანობის“ საზოგადოების სახით არის ცნობილი. „ახალი საზოგადოება“ ევოლუციამ წარმოშვა. იგი „სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზეა“ დაფუძნებული, რომელიც წმინდა „საბაზრო ეკონომიკისაგან“ იმით განსხვავდება, რომ მას ბაზრის ძალების თავისუფალ თამაშში („ბაზრის კოსმოსში“) სოციალური სამართლიანობის იდეა შეაქვს, თავის ნებაზე მიშვებულ ლიბერალურ მეურნეობას შეგნებულად წარმართული, სოციალურად მართვადი „საბაზრო ეკონომიკის“ სახეს აძლევს.

ეს საზოგადოება ჭეშმარიტად დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოებაა, თავისი სამართლებრივი სახელმწიფოებრიობით, სადაც საზოგადოების წარმმართველ ძალას ცხოვრების ყველა სფეროში „ინტელექტუალური პროფესიონალი“ („სოციალური ინჟინერი“) წარმოადგენს, რომელიც თავისი საქმიანობის მთელ პროცესს „ინტელექტუალური ტექნიკის“ („გონიერი მანქანების“) გამოყენებით წარმართავს.

ორგანიზაციას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მისი უზენაესი მიზნის მიღწევა შეუძლებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანი ეროვნული იდეოლოგიის (ეროვნული სულის) აღდგენის გარეშე, რისთვის ბრძოლასაც იგი უპირველეს ამოცანად მიიჩნევს.

„ახალი საზოგადოების“ მშენებლობის პროცესი აუცილებლად მოითხოვს რადიკალური რეფორმების გატარებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ორგანიზაცია მიზანდასახულად და განუხრელად იმოღვაწებს ამ მიმართულებით.

თავისი მიზნების განხორციელების პროცესში ორგანიზაცია ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი დემოკრატიული პრინციპებით. იგი არასოდეს არ გადაუხვევს პოლიტიკური პაექრობის ცივილიზებული ნორმებიდან.

თავისი საქმიანობის მთელ პროცესში ორგანიზაცია ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით და საკუთარი წესდებით. იგი თავის საქმიანობას ავრცელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ორგანიზაცია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მოწყობის სამხარეო კონცეფციას. შესაბამისად, მის მშენებლობასაც ამ ნიშნის მიხედვით წარმართავს.

ორგანიზაცია თავისი საქმიანობის მთელ მანძილზე მტკიცედ და განუხრელად იცავს და ატარებს საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუციური (ბუნებრივი) გზით განვითარების იდეას, იგი მზად არის ფართოდ ითანამშრომლოს მსოფლიოს საზოგადოებრიობის თანამოაზრე მიმდინარეობებთან.

ორგანიზაციის წევრები, მათი უფლებები და მოვალეობები

ორგანიზაციის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, რომელიც აღიარებს ორგანიზაციის წესდებას და პროგრამას, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მისი უზენაესი მიზნით განხორციელებაში, მატერიალურად მხარს დაუჭერს მას და იმოღვაწებს მის ერთ-ერთ ფორმირებაში.

ორგანიზაციის წევრს უფლება აქვს აირჩიოს და არჩეული იქნეს მის ხელმძღვანელ ორგანოებში; თავისუფლად განიხილავდეს ორგანიზაციის პოლიტიკური და პრაქტიკული საქმიანობის საკითხებს; შეჰქონდეს წინადადებები; გამოთქვამდეს და იცავდეს თავის აზრს; მიმართავდეს შეკითხვით, განცხადებით და წინადადებით ნებისმიერ ორგანიზაციულ ინსტანციას და მოითხოვდეს არსებით პასუხს მათზე; საჯაროდ გააკრიტიკოს ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობა; გავიდეს ორგანიზაციიდან მიზეზების აუხსნელად.

ორგანიზაციის წევრი ვალდებულია იცავდეს ორგანიზაციის წესდებას, აქტიურად იღვწოდეს მისი პროგრამის განხორციელებისთვის, ასრულებდეს ორგანიზაციის მიერ მიცემულ დავალებებს.

ორგანიზაციის წევრად მიღება ხდება ინდივიდუალური წესით, პირადი განცხადების საფუძველზე, ორგანიზაციაში მიიღებიან მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი.

ორგანიზაციული წყობა და ხელმძღვანელი ორგანოები

ორგანიზაციის მშენებლობა წარმოებს ტერიტორიული (სამხარეო) ნიშნის მიხედვით და ერთიანდება სამხარეო და რესპუბლიკურ ორგანიზაციებად.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოებია: ყრილობა (რესპუბლიკური ორგანიზაციისთვის), კონფერენცია (სამხარეო ორგანიზაციებისთვის).

რესპუბლიკური ორგანიზაციის ყრილობა მოიწვევა ოთხ წელიწადში ერთხელ. ყრილობა ისმენს, შეფასებას აძლევს და ამტკიცებს რესპუბლიკური გამგეობის ანგარიშს; გადასინჯავს, ცვლის და ამტკიცებს ორგანიზაციის პროგრამასა და წესდებას; განსაზღვრავს ორგანიზაციის ძირითად კურსს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში; განიხილავს ორგანიზაციული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს და გამოაქვს გადაწყვეტილებები; ამტკიცებს ორგანიზაციის საქმიანობის განსაზღვრულ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს, წყვეტს ორგანიზაციის რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის საკითხებს, ირჩევს რესპუბლიკურ გამგეობას და მის თავმჯდომარეს. რესპუბლიკური გამგეობა ყრილობებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობს ორგანიზაციის მთელ საქმიანობას.

ყრილობებს შორის პერიოდში რესპუბლიკურ გამგეობას, საჭიროებისამებრ, მომწიფებული საკითხების განხილვის მიზნით, შეუძლია მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა, რომლის მოწყობის წესსაც იგი თვითონ განსაზღვრავს.

სამხარეო ორგანიზაციების მართვის სტრუქტურას განსაზღვრავენ მათი გამგეობები. ისინი ხელმძღვანელობენ ორგანიზაციის პროგრამით და წესდებით, თავიანთ საქმიანობას წარმართავენ დამოუკიდებლად.

ორგანიზაციის საკუთრება და ფულადი სახსრები

ორგანიზაცია არის იურიდიული პირი, რომელსაც ბანკში გააჩნია მიმდინარე ანგარიში, აქვს ბეჭედი, შტამპი, საკუთარი სიმბოლიკა.

ორგანიზაციას შეუძლია ჰქონდეს საკუთარი საინფორმაციო საშუალებები და სხვა საკუთრება— შენობების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა სახით.

ორგანიზაციის ფინანსური წყარო საწევრო შესატანები, შეწირულობები, საგამომცემლო და მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები.

საწევრო შესატანის რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალური წესით, შესაძლებლობების შესაბამისად.

ორგანიზაციის ფულადი სახსრების გამოყენების წესს განსაზღვრავს რესპუბლიკური გამგეობა.

რეორგანიზაციის ან თვითლიკვიდაციის წესი

გადაწყვეტილებას რეორგანიზაციის ან თვითლიკვიდაციის შესახებ იღებს ყრილობა ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით.

ორგანიზაციის რეორგანიზაციის ან თვითლიკვიდაციის შემთხვევაში მისი საკუთრების გამოყენება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

რეკლამა

წერილების ექო

„ინფორმაციის დეფიციტი“

რედაქციას ეხმაურება საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ვახტანგ სალიბეგაშვილი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა წერილი სათაურით „ინფორმაციის დეფიციტი“, სადაც ავტორი მწვავედ სვამს საკითხს მესხეთ-ჯავახეთის რეგიონში ინფორმაციის დეფიციტის შესახებ.

აღნიშნული წერილიდან გამომდინარე, საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრომ მიიღო მინისტრთა კაბინეტის წერილი, სადაც ასევე მიეთითა იმ უწყებათა ხელმძღვანელებს, რომელთაც ხელეწიფებათ მოცემული საკითხების მოგვარება.

ამის გამო კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესცენტრი უფლებამოსილი გახდა დაწვრილებით შეესწავლა წერილში მოყვანილი ფაქტები.

სათანადო მასალებიდან გამომდინარე და თითოეულ პასუხისმგებელ პირთან შეხვედრის შედეგად გაირკვა, რომ მოცემულ რეგიონში მდგომარეობა მართლაც სერიოზულია და იგი კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელთა სისტემატური მსჯელობის საგანია, რაზეც მეტყველებენ ის მოხსენებითი ბარათები, რომელიც დარგის ხელმძღვანელთა მიერ იქნა შედგენილი და დაგზავნილი, დაწყებული ხელისუფლების უმაღლესი ეშელონით და დამთავრებული მესხეთ-ჯავახეთის ადგილობრივი ხელმძღვანელობით. მაგრამ ფაქტია, მდგომარეობა მართლაც სერიოზულია, მთელი რიგი საკითხები დღემდე მოუგვარებელი რჩება. რა თქმა უნდა, პრობლემა თავისთავად ენერგეტიკული კრიზისი გახლავთ, თუმცა ყველაფრის თავი და თავი მაინც უნდა ვეძებოთ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ სიდუხჭირეში, რასაც ვერც კავშირგაბმულობის სამინისტრომ აუარა გვერდი.

მძიმე ენერგეტიკულ კრიზისთან დაკავშირებით, 1994-1995 წლის ზამთრის პერიოდში სატელევიზიო პროგრამების გავრცელება მესხეთ-ჯავახეთის რეგიონში ძალზე გართულდა. სატელევიზიო პროგრამების მიღება ამ რეგიონში დამოკიდებულია სხვადასხვა პუნქტებში ელექტროენერგიის ერთდროულ მიწოდებაზე. ასეთი პუნქტებია: ბორჯომი, ახალციხე, აბასთუმანი, ადიგენი. ამ პუნქტებში სატელევიზიო პროგრამების გავრცელება დამოკიდებულია ხაშურისა და გორის რადიოსარელეო სადგურების ენერგომომარაგებაზე.

მთელი ზამთრის პერიოდი უნდა ითქვას, რომ ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა ხაშურის რადიო-სარელეო სადგურს. ეს კი იწვევდა ზემოთ ხსენებულ დასახლებულ პუნქტებში პროგრამების თითქმის შეწყვეტას, ხოლო ახალქალაქსა და ნინოწმინდაში სატელევიზიო პროგრამების გავრცელება ასევე დამოკიდებულია წალკის სატელევიზიო სადგურის ენერგომომარაგებაზე და ცხრაწყაროს უღელტეხილზე არატრადიციული კვების წყაროზე მომუშავე ნახევრად აქტიური რადიოსარელეო სადგურის მუშაობაზე, რომელიც არაერთხელ იქნა დარბეული და გაძარცული.

დღეისათვის მოცემულ რეგიონში ცხრაწყაროს უღელტეხილზე მდებარე რადიო-სარელეო აპარატურის მდგრადი მუშაობის უზრუნველსაყოფად დამონტაჟდა კვების წყაროს თანამედროვე ტექნოლოგიური აპარატურა, რომელსაც დარბევისაგან დაცვის მიზნით გაუკეთდა სპეციალური დამცავი კონსტრუქცია. ამ სამუშაოების ღირებულება საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენს. 1995 წელს უკვე დამთავრდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები გორი—ხაშური—ბორჯომი——ახალციხე—ადიგენის რადიო-სარელეო ხაზზე. კერძოდ, მთლიანად შეიცვალა აპარატურა (რ-600 კურც-4-ზე), რამაც მოგვცა შესაძლებლობა, რომ მოცემული სარელეო ხაზი მთლიანად არ იყოს დამოკიდებული გარე ქსელიდან ელექტროენერგიით მომარაგებაზე. ეს კი დაკავშირებული იყო უდიდეს მატერიალურ დანახარჯებთან, რომლის მოგვარება მოკლე დროში ერთობ ძნელი გახდა, და მაინც დღეისათვის საკითხი გადაწყვეტილია, აღდგენითი სამუშაოები, როგორც მოგახსენეთ, ჩატარებულია.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ ჯავახეთის რეგიონში რესპუბლიკის სატელევიზიო პროგრამების გავრცელების მიზნით, კავშირგაბმულობის სამინისტრომ შეიძინა მცირე სიმძლავრის სატელევიზიო გადამცემი სადგური, რომელიც გარე ქსელიდან ელექტროენერგიის მიუწოდებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულია დიზელ-გენერატორის მუშაობაზე. ეს სატელევიზიო სადგური ჩატანილია ადგილზე და მიმდინარეობს მისი სამონტაჟო სამუშაოები.

რაც შეეხება საფოსტო გზავნილებათა და ჟურნალ-გაზეთების მიწოდებას, შეფერხება გამოიწვია რეგიონში მატარებლების მიმოსვლის შეწყვეტამ, რის გამოც გადაწყდა, მესხეთ-ჯავახეთში პრესა გაგზავნილ იქნას ახალციხემდე ტრანსპორტით, ხოლო ახალციხიდან ნინოწმინდაში კვირაში ერთხელ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ გახლავთ უკეთესი ვარიანტი იმისათვის, რომ მოსახლეობამ დროულად მიიღოს პრესა, რაც ქმნის უარყოფით ფონს და ამავე დროს იწვევს მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, საერთოდ, ჟურნალ-გაზეთები იბეჭდება შემცირებული ტირაჟით, რის გამოც ძალიან ჭირს პრესის განაწილება რეგიონებში იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც არის მოთხოვნა, რათა მოსახლეობას ხელი მიუწვდებოდეს საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით ობიექტური ინფორმაციის მიღებაზე.

საბოლოოდ კი ყველაფერი კვლავ და კვლავ დამოკიდებულია ფინანსებზე, ენერგეტიკულ კრიზისზე და ნავთობპროდუქტების მომარაგებაზე, რომელი მიმართულებითაც კავშირგაბმულობის სამინისტროს უწყება მთელი ძალით მუშაობს, მაგრამ როგორც არაერთხელ ვაღიარეთ, კვლავაც ვიტყვით, ჯერჯერობით მომსახურების სფერო დაბალია. მიზეზებზე უკვე ვთქვით, როგორც იტყვიან, თავს ზევით ძალა არ არის. შეიძლება ითქვას, ხშირად იმაზე მეტიც კეთდება, რაც ერთი უწყების შესაძლებლობებში თავსდება.

გვინდა, მოსახლეობამ იცოდეს და ავტორსაც ვუპასუხოთ, რომ ყველა ის პრობლემა, რაც საინფორმაციო დეფიციტს ეხება, ჩვენი სამინისტროს მხრივ ხელოვნურად არამც და არამც არ კეთდება, არამედ ამას თავისი ობიექტური მიზეზები ახლავს, რის გამოსწორებასაც დღენიადაგ ვცდილობთ.

ინფორმაცია

ოპერაცია შედეგიანად დამთავრდა

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ შოთა კვირაიას ხელმძღვანელობით, კრიმინოგენური ვითარების სტაბილიზაციის, რეგისტრირებული დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეთა დაჯგუფებების იზოლირების მიზნით, გურიის რეგიონში განახორციელა სპეციალური ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება. მასში მონაწილეობდნენ სამინისტროს ცენტრალური ოპერატიულ-საგამოძიებო აპარატი, საჯარისო სპეციალური დანაყოფები, რეგიონალური და ტერიტორიული შინაგან საქმეთა განყოფილების შესაბამისი სამსახურები.

ოპერატიული ღონისძიების განხორციელების შედეგად, სულ დააკავეს 63 პირი. აქედან, ყაჩაღობისათვის — 10, ადამიანის გატაცებისათვის — 5, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების უკანონო შენახვისათვის — 15, ნარკოტიკების შენახვისათვის — 11. დაკავებულია 15 ძებნილი და 1 „კანონიერი" ქურდი, გახსნილია 59 სისხლის სამართლის საქმე, ჩამორთმეულია დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის იარაღი.

მორიგი დაწინაურება

ნალჩიკი. 10 აპრილს, სააგენტო „იფრინდას" კორესპონდენტთან საუბარში, ჩეჩნეთში გამომავალი გამსახურდიას გაზეთის „საქართველოს ცის ქვეშ" ყოფილმა რედაქტორმა მზია შერვაშიძემ განაცხადა, რომ გახდა რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატ აზერეთ აკბაევის თანაშემწე. ის, აგრეთვე, არის რედაქტორი გაზეთ „კავკაზსკიე ნოვოსტი", რომელიც ნალჩიკში გამოდის. თავის დროზე, სააგენტო „ჩეჩენპრესის" მონაცემებით, მ. შერვაშიძე სისტემატური ლოთობის გამო, გადაყენებული იქნა გაზეთ „საქართველოს ცის ქვეშ" რედაქტორის პოსტიდან და, არსებითად, გააძევეს ჩეჩნეთიდან.

სააღდგომოდ — 7 მილიონი კვერცხი

11 აპრილს გაიმართა მოსახლეობის სურსათით მომარაგების სამთავრობო კომისიის სხდომა პრემიერ-მინისტრის მოადგილის ბაკურ გულუას თავმჯდომარეობით.

მოისმინეს პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის კორპორაციის თავმჯდომარის მოადგილის გივი გელენიძის ინფორმაცია მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ ამჟამად, რესპუბლიკის არცერთი წისქვილკომბინატი ხორბლის რეზერვის გარეშე არ არსებობს. განვლილ პერიოდთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა შეფერხებები ელექტროენერგიის მოწოდებაში. ითქვა, რომ 19 აპრილისათვის შემოვა ამერიკული ხომალდი, რომელიც 57 ათას ტონა ხორბალს შემოიტანს.

კომისიამ განიხილა დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში სააღდგომო ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები. როგორც ქალაქის ვიცე-მერმა მელორ ტყეშელაშვილმა აღნიშნა, წინასააღდგომო დღეებში თბილისის სავაჭრო ქსელში შემოიტანენ 7 მილიონ ცალ კვერცხს, გაიყიდება სხვადასხვა დასახელების ფუნთუშეული, ღვინო და ლიმონათი.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე

1995 წლის 4 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის II ნაწილით (შეურაცხყოფა) გაზეთ „თავისუფალი საქართველოს" 11-17 თებერვლის № 3-ში გამოქვეყნებულ სტატიასთან „ტერორი საქართველოში" დაკავშირებით, სადაც ეროვნული მოძრაობის აწ გარდაცვლილ ცალკეულ ლიდერებს და სხვა კონკრეტულ პირებს უწოდებს „ცოფიანი ძაღლებივით ჩაცხრილულები", რითაც ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით მიაყენეს მათ შეურაცხყოფა, განზრახ დაამცირეს მათი პიროვნების პატივი და ღირსება.

საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრში აცნობეს, რომ საქმე გამოსაძიებლად გადაეცა ქალაქ თბილისის პროკურატურას.

დღეს ეს ყველაფერი ისტორიაა

6 აპრილს საქართველოს ფოტო-ჟურნალისტთა ასოციაცია „სხივის" სალონში მოეწყო ფოტო-გამოფენა „გახსოვდეთ, 9 აპრილია!" მისი ორგანიზატორია ასოციაციის პრეზიდენტი თამაზ ბიბილური. ეს უნიკალური ფოტო-მასალაც, რომელიც 9 აპრილის დღეებშია გადაღებული, მანვე შექმნა. ის იმ ტრაგიკული ღამის უშუალო მონაწილეც იყო.

შთამბეჭდავად არის გადმოცემული სახეები და ემოციები. ისტორია ნაჩვენებია შეულამაზებლად:

4 აპრილი. პირველი დღე. როცა ხალხი რუსთაველზე გამოვიდა, მოშიმშილეები... ქართველი ხალხის გლოვის ზარი... 10 აპრილი— შემზარავი ფინალი...

დღეს ეს ყველაფერი ისტორიაა.

როგორც თამაზ ბიბილურმა თქვა, გამოფენას სერიოზული რეკლამა პრინციპულად არ გაუკეთდა, რადგან ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლებს ანგარიშსწორებისათვის ეს ადგილიც არ გამოეყენებინათ... გასულ წელს გამოფენა დაურბევიათ, რამდენიმე ფოტოსურათი დაცხრილულია. სამწუხაროდ, ეს ფაქტიც ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სარკეა. მიუხედავად ამისა, გამოფენას ბევრი სტუმარი ჰყავდა, მათ შორის ამერიკელი ბიზნესმენი, ბატონი რობერტ კლეინი და მისი მეუღლე ჯეინ ანდერსონი.

გამოფენის მონაწილეებს მიესალმა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი გია არეშიძე, თბილისის ლურჯი მონასტრის წინამძღვარი ზაქარია ძინძიბაძე.

ნანა სულავა.

გამოფენა მოსკოვში

როგორც აფხაზური რადიო იტყობინება, მოსკოვის მხატვართა სახლში გაიხსნა გამოფენა „აფხაზეთი და რუსეთი აფხაზ მხატვართა ნაწარმოებებში". გამოფენა მოაწყვეს მოსკოვში არსებული აფხაზური კულტურის საზოგადოებამ და მოსკოვის მხატვართა კავშირმა. გამოფენაზე წარმოდგენილია მოსკოვში მცხოვრები აფხაზი მხატვრები დიანა ვოუბა, გენადი ბარციცი, ასლან შერვაშიძე და სხვ.

14 აპრილი - დედა ენის დღე

მოვუაროთ, ვუპატრონოთ!..

„ყველა ქართველის ვალია თავის მდიდარს, პოლივალენტოვან დედაენას პატივი სცეს, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ყურადღება არ მოაკლოს და არ დაივიწყოს ის ძველი ჭეშმარიტება, რომ ენა არის ხალხის მეობის ძირითადი ნიშანი" — ბრძანებდა აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა ამ ორი ათეული წლის წინათ გამოცემულ ერთ-ერთ ნაშრომში, როცა იგი ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობაზე წერდა.

„ქართული ენის ლექსიკა ისე მდიდარი არასოდეს ყოფილა, როგორც ის ამჟამად არის, როცა ქართულად ენა აიდგა ყველა მეცნიერებამ, მათ შორის საბუნებისმეტყველომ და უმაღლესი მათემატიკის სხვადასხვა დარგებმა.

...ქართულ მწერლობასა და ქართული ენის ბურჯებს საგანგებო დღეები დაუწესდა, მათი ღვაწლი რომ იხსენიებოდეს: რუსთაველის დღე, ილიას დღე, აკაკის დღე, ვაჟას დღე, იაკობ გოგებაშვილის დღე...

აქ ერთი საკითხი ჩნდება: ბუნებრივი არ იქნებოდა, გვქონოდა ქართული ენის დღე? იმ ენის დღე, ურომლისოდაც რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას... ზარები არ იგუგუნებდნენ... ამ დღეს შევაჯამებდით, რა გაკეთდა ქართული ენის კვლევისათვის რესპუბლიკის სამეცნიერო-პედაგოგიურ დაწესებულებებში... სალიტერატურო ენის ნორმათა სახელმწიფო კომისიაში, რადიოსა და ტელევიზიაში — ნორმათა დანერგვის მხრივ..." — წერდა დიდი მეცნიერი.

სწორედ ამ საკითხების გასარკვევად, თუ რა კეთდება დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ამ დაწესებულებას ვეწვიეთ. იქ კი 11-12 აპრილს ღვაწლმოსილი მეცნიერის არნოლდ ჩიქობავას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია მიმდინარეობდა, რომელშიც ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ინსტიტუტის უკანასკნელი წლების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებსა და პერსპექტივებზე გვესაუბრა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გუჩა კვარაცხელია. მან აღნიშნა, რომ ისინი ძირითადად მუშაობენ ქართული ენის, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემებისა და ისტორიის საკითხებზე, თეორიული ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემებზე.

— ენათა შესწავლა — აღნიშნა მან, — ინსტიტუტში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, მიმდინარეობს როგორც აღწერითი, ისე ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით და თეორიული ენათმეცნიერების მიღწევათა გათვალისწინებით. მეორე მხრივ, ლინგვისტიკის თეორიულ პრობლემებზე მუშაობა (იბერიულ-კავკასიურ ენათა) კონკრეტული ენობრივი მასალის კვლევა-ძიების შედეგებს ითვალისწინებს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქართული ენის კვლევის მიმართულებით ჩატარდა ისეთი მნიშვნელოვანი სამუშაოები, როგორიცაა: ქართული ენის მორფონოლოგიური ანალიზი, ზმნის ფორმობრივი და სემანტიკური თვალსაზრისით შესწავლა. ქართული ენის სახელურ და ზმნურ ფუძეთა ლექსიკონების შედგენა, ქართული სამეცნიერო ლიტერატურის სტილისტიკური ანალიზი, ინტენსიური გახდა ენის კომპიუტერული შესწავლა და სხვ.

მიმდინარეობს ფართო მუშაობა ქართული ენის აკადემიური კურსის მრავალტომეულის შესაქმნელად (მისი ცალკეული ნაწილები დასრულდა), ენციკლოპედია „ქართული ენის" შესადგენად.

ცნობილია, რომ სამეცნიერო პროგრესი შეუძლებელია სამეცნიერო-ტერმინოლოგიური ლექსიკონების გარეშე. ამ ლექსიკონებს სათანადო დარგის სპეციალისტები ადგენენ. მათი ენათმეცნიერული დახვეწა-დამუშავება კი ენათმეცნიერების ინსტიტუტში ხდება. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მომზადდა რვა ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

ინსტიტუტში ისეთი სამუშაოებიც სრულდება, რომელთაც დიდი სამეცნიერო-პრაქტიკული ღირებულება გააჩნია, კერძოდ, დასრულდა ნაშრომი „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის პრაქტიკული სტილისტიკა", „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" ერთტომეული, ოთხტომიანი დიდი „რუსულ-ქართული ლექსიკონი", გამოვიდა „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების" რამდენიმე ტომი, მომზადდა „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის" ახალი გამოცემა.

უკანასკნელი წლების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აღსანიშნავია ორი მომენტი: დაიწყო კომპიუტერული ლინგვისტიკის თეორიული საკითხებისა და ქართული ენის კომპიუტერულ ანალიზზე ინტენსიური მუშაობა. გაიშალა სამუშაოები ქართული ენის ვრცელი ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის შესადგენად. მომზადდა „ეტიმოლოგიური ძიებანის" ექვსი ტომი (მათგან ოთხი გამოიცა).

— ქალბატონო გუჩა, როგორც ვიცით, თქვენი ინსტიტუტი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის საბაზო სამეცნიერო დაწესებულებას წარმოადგენს, რას გვეტყვით ამ მხრივ თქვენი მუშაობის თაობაზე?

— უნდა მოგახსენოთ, რომ, სამწუხაროდ, ქართული სალიტერატურო ენის მუდმივმოქმედ კომისიას ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არ უმუშავნია, ახლა ხდება ამ კომისიის ხელახალი ფორმირება, განახლება. მას სათავეში ჩაუდგება სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, რაც ამ კომისიის პრესტიჟზე მეტყველებს.

კომისიის მიზანია, როგორც ეს დებულებაში გვიწერია, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენა და დანერგვა რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივ ორგანოში, კულტურის, განათლებისა და სამეცნიერო დაწესებულებებში, მეურნეობისა და მომსახურების სფეროს ყველა ტიპის ორგანიზაციასა და საწარმოში. კომისია უფლებამოსილია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაუწიოს კონტროლი ქართულს, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებას.

— კომისია შედგება ორი ქვეკომისიისაგან: პირველია ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი ქვეკომისია, მეორე — ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი ქვეკომისია.

პირველი ქვეკომისიის სამუშაო ბაზაა ჩვენი ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, რომელიც შეისწავლის ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესში წარმოქმნილ სადავო საკითხებსა და კვლევის შედეგებს. წინასწარ აქვეყნებს კომისიის ბეჭდვით ორგანოში — კრებულში „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები", ამ გამოკვლევათა საფუძველზე განყოფილება შეიმუშავებს ნორმათა პროექტებს, რომელთაც განიხილავს ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო. მოწონებულ პროექტებს სამეცნიერო საბჭო წარუდგენს კომისიის ნორმათა დამდგენ ქვეკომისიას დასამტკიცებლად.

მაკონტროლებელი ქვეკომისია კონტროლს უწევს ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას, იღებს ქმედით ღონისძიებებს დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

— ალბათ, ამ კომისიის ამოქმედება ხელს შეუწყობს, ბოლო მოეღოს იმ ქაოსურ მდგომარეობას, რაც ამჟამად სუფევს ჩვენს საზოგადოებაში; ვისაც როგორ უნდა ისე წერს და ისე მეტყველებს...

— მაკონტროლებელი კომისია თავის ფუნქციას ზედმიწევნით შეასრულებს. მთავარია, თვითონ ჩვენ ვცეთ პატივი ჩვენს დედაენას. ნუ მოვექცევით მას უდიერად. მეტი გარჯა და დაფიქრება გამოვიჩინოთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილი საგანძურისადმი.

ლარისა ხუბულური

სარედაქციო ფოსტიდან

◉

კაცად საქებნი

შარშან საბურთალოს რაიონში დაარსდა ჰუმანიტარული დანიშნულების ორგანიზაცია — სოციალური დახმარების განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ საქმის მცოდნე მანდილოსნები ინესა გაბინაშვილი და მისი მოადგილე ინესა მაჭავარიანი.

ამ საკმაოდ სოლიდურ ორგანიზაციას, რომელსაც ოცდახუთკაციანი შტატი ჰყავს, მოგეხსენებათ, სამუშაო ადგილ-სამყოფელი, ახალმოდურად რომ ვთქვათ, „ოფისი" სჭირდებოდა. სამადლოდ, ხან რომელმა დაწესებულებამ შეიკედლა და ხან რომელმა. ბოლოს, საბურთალოს რაიონის გამგებლობის შუამდგომლობით, არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში გამოუყვეს ერთი პატარა ოთახი მე-11 სართულზე.

სოციალური დახმარების რაიონულ განყოფილებას ადგილ-სამყოფელი კი ეღირსა, აქეთ-იქით საწოწიალოდ აღარ ჰქონდა საქმე, მაგრამ მისი მრევლისთვის ეს დიდი ვერაფერი შეღავათი იყო.

წარმოიდგინეთ, ღრმად მოხუცებული ხეიბარი ყავარჯნებით თუ ხელჯოხით როგორ ადიოდა მე-11 სართულზე სვენებ-სვენებით, ქოშინით, გული ხელით რომ ეჭირა. არც იქიდან ჩამოსვლა იყო იოლი, მუხლებში ჩაბუდებული ტკივილები მწარედ ახსენებდა თავს მოხუცს. ლიფტი? ჩემი და თქვენი მტერი იყოს ლიფტის იმედად! არადა, ერთ საქმეზე ზოგჯერ რამდენჯერმე უნდა აეთავებინათ ეს „გოლგოთა".

და, აი, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდნენ ღვთისნიერი ადამიანები, რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი გურამ მირიანაშვილი და ამავე შენობის ბინადარი სააქციო საზოგადოება „ქალაქმშენის" თავმჯდომარე ბატონი გურამ ქორქაშვილი, რომელთა განკარგულებით ამას წინათ მეორე სართულზე გამოუთავისუფლეს ერთი ოთახი (იქაური მუშაკები — ახალგაზრდა არქიტექტორი-მშენებლები მეთერთმეტე სართულზე გაამწესეს). ჰოდა, სოციალური დახმარების რაიონული განყოფილების მუშაკებს დაჰპირდნენ: ჯერჯერობით ეს პატარა ოთახი იმყოფინეთ, შემდეგ იქნებ პირველ სართულზე გამოგინახოთ თქვენი ორგანიზაციისათვის შესაფერისი ადგილ-სამყოფელი, — ოღონდ ცოტა ხანს უნდა გვადროვოთო.

გახარებულ ხიზნებს მადლობის მეტი რაღა ეთქმოდათ!

გ. მირიანაშვილიცა და გ. ქორქაშვილიც დაბრძენებული, საკუთარი სიტყვის ხალხია. როგორც ამბობენ, მათ ნათქვამს წყალი არ გაუვა.

...სიტყვამ მოიტანა და, უნდა ვთხოვოთ მეტრო „მარჯანიშვილის" სადგურის გვერდით მდებარე მრავალსართულიანი შენობის მფლობელთ, იქნებ გ. მირიანაშვილისა და გ. ქორქაშვილისავით გამოიჩინოთ გულისხმიერება და ამ შენობის მეექვსე სართულზე შესახლებული პენსიონერთა საწარმოო ასოციაცია „ვეტერანი" პირველ-მეორე სართულზე „ჩამოაქვეითოთ". აქაურ ყავარჯნიან პენსიონერებსაც უჭირთ VI სართულზე ასვლა....

გიორგი ალავერდაშვილი.

ორთავ თვალის სინათლე...

უცნაური ხალხი ვართ ქართველები, რატომღაც „სხვისი ბაიათი გვირჩევნია ჩვენსა ნანინას"...

მართლაც და, წამოგვტკივდება თუ არა თვალი, დაუყოვნებლივ სხვათა საავადმყოფოებს მივაშურებთ — ოდესასა თუ მოსკოვს, პეტერბურგსა თუ კიევს, ხარკოვს, იოშკარ-ოლასაც კი, სულ ერთიავად ატალახებული გვაქვს ფილატოვის, კრასნოვისა და ფიოდოროვის კლინიკები. არადა, აქვე თბილისში არანაკლები სპეციალისტები გვყავს. ასე ვთქვათ, „შინაური მღვდლები", რომლებსაც, მოგეხსენებათ, შენდობა არა აქვთ.

ამ მხრივ ერთ-ერთ საუკეთესოდ საერთო აღიარებით დღეს ოფთალმოლოგიური ცენტრის დირექტორი ივა ბერაძე ითვლება. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რესპუბლიკის მთავარი ოფთალმოლოგი, თბილისის სამედიცინო აკადემიის თვალის სნეულებათა კათედრის გამგე — ასეთია ამ შესანიშნავი დასტაქრის ტიტულების სია.

ბატონ ივას კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, არაოფიციალური ტიტულიც აქვს — „ოქროს ხელი", რომელიც კარგა ხანია მადლიერმა პაციენტებმა შეარქვეს. შესანიშნავი ქართველი ოფთალმოლოგის, ეროვნული ოფთამოლოგიური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, პროფესორ ნიკოლოზ ბერაძის ღირსეული მემკვიდრე, მამასავით დაფასებული და ავტორიტეტული მედიკოსია. ერუდირებული კლინიცისტი დღეს ქართული ოფთალმო-მიკროქირურგიის საუკეთესო სპეციალისტთ ჩვენში.

— ოფთალმოლოგიურ ცენტრში დღეს თვალის დაავადების პრაქტიკულად ყველა სახის ოპერაციას ვაკეთებთ, ამასთან, თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტების დონეზე. — გვეუბნება ი. ბერაძე — ჩვენს 260-საწოლიან კლინიკას 100-მდე ექიმი ემსახურება. საქართველოში დიდად კვალიფიციური თვალის სპეციალისტები გვყავს და მართლაც გულდასაწყვეტია, როდესაც ჩვენი თანამემამულენი სამკურნალოდ თუ საოპერაციოდ სხვაგან მიემგზავრებიან. ჩვენს ექიმებს არც ცოდნა აკლიათ, არც გულისხმიერება და სითბო, რომელიც ასე აუცილებელია თეთრხალათიანი ადამიანისათვის, თვალის ჩინთან რომ აქვს საქმე.

ორთავ თვალის სინათლე არ მოკლებოდეს თქვენს ავადმყოფებს, ბატონო ივა!

ოთარ ნიორაძე.

• • •

სურათზე: აკადემიკოსი, ოფთალმოლოგი ივა ბერაძე.

გივი ჯოლბორდის ფოტო.

ორი ეტაპის შემდეგ

„ფორმულა-1" კლასში პროფესიონალ ავტომრბოლთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ეტაპი — „არგენტინის დიდი პრიზი" ინგლისელმა დეიმონ ჰილმა მოიგო.

პირველი ეტაპის გამარჯვებულმა — ავსტრიელმა გერჰარდ ბერგერმა ამჯერად მეექვსე ადგილი დაიკავა და 11 ქულით საერთო ჩათვლაში წამყვან პოზიციას ინარჩუნებს.

სტუმრები არ ხუმრობენ

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის 21-ე ტურში სტუმრებმა იშვიათი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და დადებით შედეგს მიაღწიეს მასპინძლებთან „გამოუცხადებელ ომში". ამაში განვლილი შეხვედრების ანგარიშებიც დაგვარწმუნებთ: „სამტრედია"-„ტორპედო" 3:1, „შევარდენი"-თბილისის „დინამო" 1:6 (ამ მატჩში გიორგი ქინქლაძემ 4 ბურთი გაიტანა), ბათუმის „დინამო"-„კოლხეთი" 0:0, „მეტალურგი"-„დურუჯი" 1:0, „დილა"-„საპოვნელა" 0:0, „ივერია"-ზუგდიდის „დინამო" 1:2, „მარგვეთი"-„სამგურალი" 0:0, „გურია"-„კახეთი" 0:1.

წინა ტურში ფოთში განცდილი მძიმე მარცხის (0:3) მიუხედავად სამტრედიელები ინარჩუნებენ ლიდერობას — 55 ქულა, თუმცა ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონებმა — დედაქალაქის დინამოელებმა დაკარგული ქულებით მათთან სხვაობა ორამდე დაიყვანეს (50 ქულა და ერთი გამოტოვებული შეხვედრა „კოლხეთთან").

ბომბარდირთა დავაში 17 გოლით დაწინაურდა ბათუმელი პაატა მაჭუტაძე. მორიგ ტურში 16 აპრილს „სამტრედია" ყვარელს ეწვევა, „დინამო" კი „გურიას" უმასპინძლებს, ხოლო დღეს გაიმართება ეროვნული თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები:

ზუგდიდის „დინამო"-თბილისის „დინამო" და „მეტალურგი"-ბათუმის „დინამო". ამ წყვილების მეორე რაუნდი 15 მაისისთვის არის დანიშნული.

დიდი გამარჯვების საიუბილეოდ

ფაშისტზე გამარჯვების 50-ე წლისთავს ონის რაიონის სპორტსმენებმა რამდენიმე საინტერესო ასპარეზობა უძღვნეს. მინი-ფეხბურთში ბადალი არ ჰყავდა სოფელ ღარის გუნდს, მოჭადრაკეთა დავაში კი ყველას გელა ლობჟანიძემ აჯობა. უფროსებს არც ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტსკოლის (დირექტორი რომან კირვალიძე) აღსაზრდელები ჩამორჩნენ. მათ უკვე მოასწრეს შეჯიბრება მკლავჭიდსა და თავისუფალ ჭიდაობაში.

საიუბილეო სპორტული ღონისძიებები ონის რაიონში გრძელდება.

ნესტორ დუშუაშვილი,
„სრ" შტატგარეშე კორ.

ხმა მიეცით
დავით ინჯიას!
1995 წლის 16 აპრილი
4
ხმა მიეცით
დავით ინჯიას
ამით ხმას მიეცემთ

დეპუტატობის ღირსეული კანდიდატი

16 აპრილს მარტვილის რაიონში გაიმართება საქართველოს პარლამენტის წევრის არჩევნები.

კანდიდატთა შორის არის **დავით ინჯია.**

დავით ინჯია დაიბადა 1952 წლის 5 აპრილს, მარტვილის რაიონის სოფელ ნალეფსაოში, პედაგოგების ოჯახში.

1974 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 1979 წლამდე მუშაობდა მარტვილში, ეწეოდა სამეურნეო საქმიანობას სპეციალობით. 1979 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზეა, მათ შორის, ამავე რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსია.

დავით ინჯია, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში.

ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს საფელდეგერო სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილეა, სწავლობს პოლიციის აკადემიის მე-4 კურსზე.

ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

ხმა მიეცით დავით ინჯიას, დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს!

მწერლები ანგარიშს აბარებენ

საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილების საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, ფართოდ იმსჯელეს შიდა ქართლში მოღვაწე მხატვრული სიტყვის ოსტატთა მიერ უკანასკნელ წლებში შექმნილ პროზაულ, პოეტურ, დრამატურგიულ ნაწარმოებებზე, ახალ სახელებზე, რომლებიც ქართულ მწერლობას შეემატა.

კრებაზე დიდი ადგილი დაეთმო აგრეთვე, ახალი წიგნების გამოცემის, მწერალთა სოციალური პრობლემების გაუმჯობესების საკითხებს.

კრებამ მწერალთა კავშირის გორის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად აირჩია პოეტი ჯემალ ინჯია. კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ.

ხსოვნა

შოთა ზურაბაშვილი

გვიანობამდე იყო პარასკევ დღეს სამსახურში, მომდევნო კვირის სამუშაო გეგმა მოხაზა, არ უყვარდა საქმის მიფუჩეჩება. დინჯად აალაგა სამუშაო მაგიდა, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა, მეორე დღის სამზადისში კარს ფრთხილად მოარგო გასაღები და ასევე ფრთხილად გამოიხურა, გამოიხურა ისე, რომ აღარ შეუღია ეს კარები, შაბათს თავზარდამცემად გავრცელდა მისი მოულოდნელი გარდაცვალების ამბავი.

შოთა გიორგის ძე ზურაბაშვილი დაიბადა 1932 წელს ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიაში, 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი, შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1965 წელს რაიკომის ინსტრუქტორად გადაჰყავთ, 1966 წელს ნიშნავენ სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარ ვეტექიმად, 1976 წელს ირჩევენ სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ, 1980 წელს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, 1982 წელს — საქართველოს კპ ასპინძის რაიკომის მდივნად. იყო რაიონული საბჭოს დეპუტატი, 1991 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შ. ზურაბაშვილი ასპინძის სადაბო საკრებულოს მდივანია.

შოთა ზურაბაშვილი სამსახურებრივ მოვალეობას ღირსეულად უთავსებდა მთელ რიგ საზოგადოებრივ დავალებებს. მისი ღვაწლი და დამსახურება, მის მიერ გაწეული ალალი და პატიოსანი შრომა აღნიშნულია მთავრობის ჯილდოებით.

შოთა ზურაბაშვილი თავისი ერუდიციითა და ადამიანური კეთილშობილებით დააკლდა მთელს ინტელიგენციას, ჩვენს საზოგადოებას, მოულოდნელად წავიდა საქმიანი კაცი, რომელიც ახე სჭირდებოდა დღევანდელ ასპინძას, წავიდა და დაგვიტოვა სამუდამო ტკივილი.

ასპინძის რაიონული გამგეობა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დოცენტი

ავთანდილ კეთილაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილი გია გვეტაძე, რძალი ნინო გოშთელიანი, შვილიშვილი სალომე, ძმები ელგუჯა, ჯანიკო ხაჟალიები, ძმიშვილები ეკა, ელისო, ნინო, გიორგი, ჯონი, რძლები ჟუჟუნა, დარეჯანი, ზაირა, ბიძაშვილები რუსუდან, აზა, დიტო, სოსო დუნდუები, დეიდაშვილები თამილა ნანეიშვილი, ლიანა, ვახტანგ მუავიები, ნანული ალანია ოჯახებით, ბიცოლა ნადია ჯანელიძე, მძახლები ნათელა, როლანდ გოშთელიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლამარა გიორგის ასული ხაჟალია

პანაშვიდი — 14, 15/IV, 16 საათზე, გამოსვენება 16/IV, 15 საათზე, ვაჟა-ფშაველას VI კვარტალი, 38-ე კორპუსი, I-I სადარბაზო, V სართული.

მეუღლე დოდო ჯანაშვილი, შვილები დათო, ზურაბი, ძმები თენგიზ, რევაზ, რძლები მანანა, მაია, მერი, ვენერა ზურაბაშვილები, სიმამრი პეტრე, ცოლისდა მზია, ცოლისძმები შოთა, ვახტანგ ჯანაშვილები ოჯახებით იუწყებიან

შოთა გიორგის ძე ზურაბაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 აპრილს, 18 სთ, დაბა ასპინძაში.

შვილები მზია, რომან მახარაძეები, შვილიშვილები გიორგი, დათო, თამარი, რძლები დოდო ჭიჭინაძე, ქეთი ზაქარეიშვილი, სიძე ლევან დოლიძე, და გოგოჩა ზაქარეიშვილი, მძახლები ლიზა დოლიძე, ლოლა ავალიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნადეჟდა მელიტონის ასული ზაქარეიშვილი

პანაშვიდი: 13, 14 აპრილს, 16 საათზე, გამოსვენება 15 აპრილს, 14 საათზე, მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის, 41, I სადარბაზო.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოძიაშვილი.
ინდექსი [illegible]